ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

„ახალი თაობა“ + ილია II

ოქროს ხანა

სამტომეულის პირველი ტომი

8 ლარი




12 — 13 იანვარი, 2013 №9 (6010) ფასი: 30 თეთრი



## ირაკლი ოქრუაშვილი 15 ათასი ლარის სანაცვლოდ გაათავისუფლეს

გვ.3

### ზურაბ ჯაფარიძე: „ივანიშვილისგან მიტევება არავის სჭირდება“

გვ.3





### ვარდან სედრაქიანი: „ჯავახეთს სომხეთს დავუბრუნებ“

გვ.3

პრეზიდენტობის კანდიდატი სოხუმისა და ცხინვალის აღიარებას აპირებს



### ირინა სარიშვილი: „ახალი ხელისუფლება კონსტიტუციას საკუთარ თავზე ირგებს“

გვ.5

### რატომ დახურა „ქართულმა ოცნებამ“ რეგიონებში ოფისები

გვ.4




### ალასანია ვეტერანებზე ზრუნვას იწყებს

გვ.4





### ილია II-ს იუბილე პუტინმაც მიულოცა

გვ.6

### ალი ბაბაევი: „პოლიტპატიმართა სიაში ვარ!“

გვ.6



### როგორ მოხდება პატიმრების გათავისუფლება

გვ.4



### ჯუმბერ თავართქილაძე: „სააკაშვილი პირველი პოლიტპატიმარი მე გახლდით“

გვ.2

9 771987 938006





### ვახტანგ ყოლბაია: „ახალი ხელისუფლება ნაციონალების ხრიკებს უნდა უფრთხილდეს“

გვ.6

# ჯუმბერ თავართქილაძე: „სააკაშვილის პირველი პოლიტპატიმარი მე გახლდით“

**გულიკო ბალაძე**

სააკაშვილის პირობებში არაერთი ადამიანი, არაერთი პოლიტიკოსი და მათი ოჯახი აღმოჩნდა რეპრესიული რეჟიმის მსხვერპლი. მათ შორისაა, ხალხის პარტიის აჭარის ორგანიზაციის ლიდერი ჯუმბერ თავართქილაძე.

იმის გამო, რომ 2008 წელს ეროვნული საბჭოს მიერ დეპუტატობის კანდიდატად იყო წარდგენილი, ჯუმბერ თავართქილაძეს ოჯახის წევრები და ნათესავები დაუპატიმრეს. ის იყო სააკაშვილის ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი გაბედული ოპონენტი აჭარაში და მისი რეპრესიული მანქანის პოლიტპატიმარი. ჯუმბერ თავართქილაძე 2004 წლიდან ღიად ბრალს სდებს მიხეილ სააკაშვილსა და მის გუნდს ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევებში, ელიტარულ კორუფციასა და სხვა დანაშაულებრივ ქმედებებში.

ამის გამო აჭარაში ჯუმბერ თავართქილაძე და მისი ოჯახი ყველაზე მეტად იდევნებოდა. პირველად 2004 წლის 1 სექტემბერს, ბენდუქიძეზე კაპიკებად გასხვისებული ბაზრის, მოვაჭრეებისაგან გათავისუფლების მიზნით, სპეცდანიშნულების რაზმის მიერ მათი დარბევის დროს არასანქცირებული მიტინგის ორგანიზების მოტივით, დააპატიმრეს. მეორედ 2008 წელს. აქედან მოყოლებული უამრავი რამ დაატეხეს თავს მისი ოჯახის წევრებს, რომელთაც, მისი პოლიტიკური საქმიანობის მიზეზით, არ დაკლებიათ დაპატიმრება, ბიზნესის ჩამორთმევა და დიდი ოდენობის თანხების შეწერა. „სამწუხაროა, რომ სააკაშვილი ვერ აცნობიერებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულობებს“, – აცხადებს ჯუმბერ თავართქილაძე.

ჯუმბერ თავართქილაძე აცხადებს, რომ სააკაშვილის რეჟიმის პირობებში არც ერთი სახელმწიფო ინსტიტუტი არ მუშაობდა და 9 წელში დანგრეულს 2-3 თვეში ვერ აღადგენ. „ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღებაც არ ივარგებს. გასულ წელს ნაციონალები ოპოზიციის აქტიური წევრების დევნას შეეშვნენ და მთელი ყურადღება გადატანილი იყო ბიძინა ივანიშვილის მიმართ. კაცი ხელისუფლებაში მოსული არ იყო, რომ საზოგადოებამ შვება იგრძნო. ახლა, როცა ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში მოვიდა, ბიზნესმენების, თავისუფალი ადამიანებისა და ყველას მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა, რაც თითოეული ჩვენთაგანის ოჯახზე აისახა. აღარ არის დევნა, აღარ არის შიში. კეთილდღეობასა და სოციალური პროგრამების განხორციელებას, გარკვეული დრო სჭირდება, მაგრამ არა 4-5 წელი. მინიმუმ ერთი წელი, – აცხადებს ჯუმბერ თავართქილაძე.

***– ბატონო ჯუმბერ, თქვენ აქტიურად იყავით ჩაბმული წინასაარჩევნო პროცესში, როგორ აფასებთ შედეგებს, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო აჭარაში?***

– ძალიან არ ჩავღრმავებივარ, ვინ რამდენი პროცენტი აიღო. ვინც იბრძვის, ის შეცდომებსაც უშვებს. არ გამოვრიცხავ, რომ პატარა შეცდომები იყო დაშვებული.

***– კანდიდატების შერჩევაში?***

– შეიძლება. სუბიექტური ფაქტორი შეიძლება იყო. შეიძლება ზოგადად გარემოს ბრალია, რადგან, საერთოდ, ზემო აჭარა ხელისუფლების დასაყრდენ მხარედაა წარმოდგენილი. ეს არავისთვის გასაკვირი არ არის. ბევრი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები იყო, რის გამოც აჭარაში „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები წააგო. თუმცა, ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან, ზოგადად, გამარჯვება მოვიპოვეთ. საზოგადოების იმ ნაწილსაც მადლობა უნდა გადავუხადოთ, ვინც გარკვეული შიშის სინდრომის გამო არ მოგვცა ხმა. ისინიც ჩვენი ამომრჩევლებია, ჩვენი ხალხია.

***– ახალ სიტუაციაში აჭარაში ადგილზე როგორი მდგომარეობაა?***

– ბუნებრივია, ადგილებზე სიტუაციის სწრაფი შეცვლის დიდი მოლოდინი არ უნდა გვქონდეს. ადგილობრივ თვითმმართველობას ჯერ კიდევ სააკაშვილი აკონტროლებს. აქედან გამომდინარე, ბევრი რაღაცის შეცვლას ახალი ხელისუფლება ამ ეტაპისთვის ვერ მოახერხებს, მაგრამ რიგ საკითხებში ვითარება აშკარად შეცვლილია. სიტუაცია გამოსწორდა თუნდაც ბიზნესის კუთხით. ზოგიერთი გამოდის და ცრუ ინფორმაციას ავრცელებს. სწორი პოლიტიკით ბევრი რამის გაკეთება შეიძლებოდა. ბევრი არამომგებიანი პროექტი იყო სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული, რომელსაც ინვესტორი უნდა აფინანსებდეს. შეიძლება ვიღაცის კაპრიზით არარსებულ, არაპოტენციურ ადგილზე შექმნა რაღაც ღვთაებრივი. არის ქვეყნები, რომლებიც ამას




ახერხებენ და მათ მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ, ისრიალონ მთაში, შემდეგ გადაფრინდნენ და რამდენიმე წუთში ვერტმფრენით ზღვაზე აღმოჩნდნენ. ადამიანს ჰქონდეს შესაძლებლობა, გადაიხადოს და მთიდან ჩამოფრინდეს ბათუმში. ასეთი რაღაცები შესაძლებელია, მაგრამ ბევრი ისეთი საკითხი იყო, რაზეც სახელმწიფოს არ უნდა ეზრუნა.

***– თქვენი ინფორმაციით, ახალ ხელისუფლებას აჭარაში რა პრობლემები დახვდა?***

– „ქართულ ოცნებას“ უამრავი პრობლემა დახვდა. პირველ რიგში, ეს არის ცარიელი ბიუჯეტი. რამდენადაც ვიცი, აჭარის ბიუჯეტი სრულიად ცარიელი დახვდათ და მის შესავსებად მიმდინარეობს მუშაობა. ბუნებრივია, ადგილობრივ ხელისუფლებას სურვილი აქვს, თავი გამოიჩინოს, რა კარგი ხალხი ვართ, როგორ კარგად ვმუშაობთო. თუმცა, იმის გაკეთება, რის გაკეთებასაც ახლა ცდილობენ, სამი წლის წინ შეეძლოთ. მთავარი პრობლემა ინვესტორსა და ხელისუფლებას შორის ის იყო, რომ არ არსებობდა ინვესტორი, რომელთანაც იქ ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელს არ ჰქონოდა თავისი წილი. ბუნებრივია, ეს კი ძალიან დიდ ტვირთად აწვა იმ ინვესტორს თავისი საქმიანობის განხორციელების პროცესში. იყვნენ ინვესტორები, რომლებიც ამას ძლევდნენ, მაგრამ ხომ არიან პატარა ინვესტორები. რომლებიც მცირე თანხებით აკეთებენ ინვესტირებას. მათთვის ძალიან მძიმე ტვირთი იყო ხელისუფლების წარმომადგენელთა წილში შეყვანა. ეს იყო ხელისუფლების წარმომადგენელთა არაკეთილსინდისიერი ქმედება. გამოყოფილი ფულიდან ინვესტორს აკლდებოდა და აღებულ ვალდებულებას ვერ ახორციელებდა იმ ტემპებში, რა ტემპებითაც შესაძლებელი იყო განხორციელება. ჩვენ გვაქვს გაუსაძლისი შრომის კოდექსი, რომელზეც მუშაობა დღეს პარლამენტში მიმდინარეობს.

***– თქვენი პარტია აჭარაში რჩება?***

– ბუნებრივია, ხალხის პარტია, რჩება. ჩვენ კოალიციაში არ ვართ და „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობის რეჟიმში ვიმყოფებით.

***– პოლიტიკაში რჩებით? რატომღაც თქვენი პიროვნება „ქართულმა ოცნებამ“ არ გამოიყენა აჭარაში, სადაც დეპუტატების კანდიდატები, როგორც ჩანს, არც ისე კარგად იყო შერჩეული.***

– მე არ გავურბივარ იმ პასუხისმგებლობას, რომ დავრჩე პოლიტიკაში. პოლიტიკაში ვრჩები და ვაგრძელებ პოლიტიკურ საქმიანობას. ბოლო ორი თვის განმავლობაში ტაიმ-აუტი მქონდა აღებული.

***– როგორც ვიცი, წინა ხელისუფლების რეპრესიების მსხვერპლი თქვენც იყავით.***

– წინა ხელისუფლების პირობებში რაც გადავიტანე, მთელმა საქართველომ იცის. საქართველოში ბევრი არ არის ისეთი პოლიტიკოსი, რომელმაც იმდენი რეპრესია განიცადა, რამდენიც მე.

***– სააკაშვილი კი ამბობს, არაფერი დამიშავებიაო.***

– სააკაშვილს შევახსენებ, რომ 2008 წელს, როდესაც მე წარდგენილი ვიყავი დეპუტატობის კანდიდატად ეროვნული საბჭოს მიერ, ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში ვთქვი, რომ ჭეშმარიტ და ობიექტურ არჩევნებში მე სააკაშვილის კანდიდატურას მოვუგებდი და შემეძლო ერთი 10 ფორა მიმეცა მისთვის. ამ განცხადებიდან 3 დღის შემდეგ, სააკაშვილის ხელისუფლებამ აჭარის კუდის უფროსის, ზურაბ პატარიძის ხელით ყველა ღონე იხმარა იმისათვის, რომ მთელი ჩემი ოჯახი დაეპატიმრებინა.

***– ვინ დაგიპატიმრეს?***

– დააპატიმრეს ჩემი ძმები მიხეილ თავართქილაძე, „ბუმერანგის“ მეპატრონე და ჯამბულ თავართქილაძე. დააპატიმრეს ჩემი მამიდაშვილები ზაალ და ზებურ დეკანაძეები. ჯანო რიჟვაძე, მარადი ცეცხლაძე. პრაქტიკულად, ოჯახში დავრჩით მამაჩემი, პროფესორი ანზორ თავართქილაძე, მე და ჩემი, იმჟამად 4 წლის ვაჟი პატარა ანზორ თავართქილაძე. სხვა ყველა დაპატიმრებული იყო იმისათვის, რომ მე უარი მეთქვა ბრძოლის გაგრძელებაზე. იყო შემოთავაზებები, რომ მომეხსნა ჩემი კანდიდატურა და გაათავისუფლებდნენ დაპატიმრებულებს, მაგრამ მე ორმაგი ბრძოლითა და იმჟამინდელი პოლიტიკური ელიტის მხარდაჭერით, მოვახერხე ჩემი ოჯახის წევრების გათავისუფლება. სააკაშვილს შევახსენებ 2007 წლის 8 ნოემბერს, ბათუმში ჩემი ძმის კუთვნილ მაღაზიაში დატრიალებულ ამბებს, როცა სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ სუპერმარკეტ „ბუმერანგიდან“ არა თუ პროდუქტი არ გამოგვატანინა, არამედ ფრინველებიც კი არ გამოგვაშვებინა. ამის ვიდეოკადრები არსებობს. „ბუმერანგში“ ჩემს ძმას ჰყავდა ფრინველები, თევზები და მათი გამოყვანის საშუალება არ მისცეს.

***– მარკეტი დალუქეს?***

– დიახ, დალუქეს და სანამ იმ ქუჩაზე ხალხმა პირბადეებით არ დაიწყო სიარული, მარკეტიდან გამოსული საშინელი სუნის გამო, მანამ არ გახსნეს. მთელი პროდუქტი, რაც „ბუმერანგში“ იყო, აბსოლუტურად გაფუჭდა. ამის ამსახველი კადრებიც არსებობს. შემდეგ, როცა საზოგადოებამ მოაწყო მიტინგი „ბუმერანგის“ წინ და მარკეტი გავხსენით, საწყალი ცხოველები და ფრინველები შიმშილისაგან დახოცილები ვნახეთ. ასევე თევზებიც დახოცილიყვნენ შიმშილისაგან. სააკაშვილისთვის ბევრი რაღაცის შეხსენება შემიძლია, კონკრეტულად, მე, ჯუმბერ თავართქილაძეს. რაც მან ჩვენს ოჯახს გაუკეთა და, კონკრეტულად ჩემი პიროვნების მიმართ გამოიყენა, მხოლოდ და მხოლოდ ამისთვისაა გასასამართლებელი. მხოლოდ და მხოლოდ ამისთვის უნდა გასამართლდეს, რომ მან უმოწყალოდ დახოცა ფრინველები და ცხოველები, რომლებიც არც პოლიტიკოსები იყვნენ, არც პოლიტიკოსის მომხრეები. ცივილიზებულ ქვეყანაში მიზანმიმართულად ფრინველების დახოცვისთვის ფრინველთა და ცხოველთა საზოგადოება მას გაასამართლებდა. სამწუხაროა, რომ სააკაშვილი ვერ აცნობიერებს მის მიერ ჩადენილ დანაშაულობებს.

***– შეიძლება ვიფიქროთ, რომ სააკაშვილმა თქვენი და თქვენი ოჯახის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტების თაობაზე არ იცოდა?***

– ვერ ვიტყვი, რომ სააკაშვილმა ჩემი და ჩემი ოჯახის წინააღმდეგ დადენილი დანაშაულებრივი ფაქტების თაობაზე არ იცოდა. იმჟამად ყველა სატელევიზიო ეთერში აჩვენებდნენ ჩემი და ჩემი ოჯახის მიმართ ჩადენილი ფაქტების ამსახველ ვიდეოკადრებს.

***– ახლა თუ ჰყავს სააკაშვილს აჭარაში მხარდამჭერები. მოგეხსენებათ ის ახლა ხელმოწერებს აგროვებს, რომ პრეზიდენტობა გაიხანგრძლივოს?***

– სააკაშვილის მხარდამჭერთა რაოდენობა აჭარაში თითზე ჩამოსათვლელია. ისინიც იძულებით უჭერენ მხარს იმიტომ, რომ ისეთ სიბინძურეებში არიან გარეული, რომლისთვისაც პასუხი უნდა აგონ. ამჟამად სააკაშვილს მხარს იმიტომ უჭერენ, რომ კრიმინალები პოლიტდევნილებად გამოაცხადოს. გამორიცხულია სააკაშვილს რიგით ამომრჩევლებში მხარდამჭერები ჰყავდეს.

***– ისე, სააკაშვილის დროინდელი პოლიტდევნილებიც და პოლიტპატიმრებიც ძალიან ბევრი არიან ქვეყანაში.***

– სააკაშვილის პირველი პოლიტპატიმარი მე გახლდით. ეს იყო 2004 წლის 1 ოქტომბერი, როცა მე ვიყავი 226-ე მუხლით დაპატიმრებული. ბრალი მედებოდა არეულობის მოწყობაში. ე.წ. ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე დატრიალებული გაუგებრობის გამო.

***– თქვენ რატომ დაგდეს ბრალი? რა შუაში იყავით?***

– მე, კახა კუკავა, ამ მოწვევის პარლამენტის წევრები კობა დავითაშვილი და ზვიად ძიძიგური ვიცავდით მცირე მეწარმეებს იმ თვალსაზრისით, რომ არ მომხდარიყო მათი გამოყვანა ძალისმიერი მეთოდებით. ჩვენ იმჟამინდელი მერის განკარგულება გავასაჩივრეთ სასამართლოში. განკარგულების გასაჩივრების შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება ხდება, მაგრამ მათ ვერ მოითმინეს სამი დღე, მთელი შინაგანი ჯარი ჩამოიყვანეს და დაგვარბიეს. მაშინ კობა დავითაშვილმა ტვინის შერყევა მიიღო, მე კი ციხეში აღმოვჩნდი.

***– რამდენი ხანი იჯექით ციხეში?***

– ციხეში 2 თვეზე მეტ ხანს ვიყავი. მაშინ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი გახლდით და კონსერვატორულმა პარტიამ თბილისში დიდუბის რაიონში მაჟორიტარად დამასახელა. როცა კვლევა ჩაატარა სააკაშვილმა და ხვდებოდა, რომ ვიგებდი, იძულებული გახდა, 19 ოქტომბერს გამოვეშვი.

***– ბათუმის ციხეში იჯექით?***

– დიახ.

***– როგორია სააკაშვილის ციხე?***

– იმჟამად სააკაშვილი სამი თვის მოსული იყო აჭარაში. მე ვიმყოფებოდი შს სამინისტროს წინასწარი დაკავების საკანში. იმჟამად ინერციით კარგი პირობები იყო.

***– სააკაშვილს გაუთავდა კონსტიტუციით განსაზღვრული პრეზიდენტობის 5-წლიანი ვადა და, მგონი, მას ძალიან მალე გაისტუმრებთ პოლიტიკურ პენსიაზე. თუ როგორც პოლიტიკოსი არ წავა პოლიტიკურ პენსიაზე, როგორც პრეზიდენტს, მაინც გავისტუმრებთ.***

– პრეზიდენტი სააკაშვილი 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ არის პოლიტიკური პენსიონერი. 2007 წლის შემდეგ სააკაშვილს მორალური უფლება არ ჰქონდა, ხალხისთვის ეთქვა, თქვენი პრეზიდენტი ვარო. საერთოდ. ხალხის პრეზიდენტი ხალხს არ ერევა.

***– სააკაშვილი ხალხს მოერია?***

– ვერ მოერია. თუმცა, მე დარბევა ვიგულისხმე. როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი საკუთარ ხალხს იარაღით უსწორდება, ფსიქოლოგების პასუხი იქნებოდა საინტერესო, რამდენად ფსიქიკურად გაწონასწორებული გახლავთ ეს ადამიანი, რომ მას ჰქონოდა მორალური უფლება, 2008 წლის არჩევნებში კენჭი ეყარა, ან მას შემდეგ გაეგრძელებინა „მოღვაწეობა“. სააკაშვილის შემთხვევაში 8 წლის განმავლობაში სხვა მოვლენასთან გვქონდა საქმე. ვერ ვიტყვი, რომ სააკაშვილი უჭკუო ადამიანია, ვერ ვიტყვი, რომ გაუნათლებელია. სააკაშვილი საკმაოდ განათლებულია, საკმაოდ ჭკვიანია.

***– სათავისოდ.***

– დიახ, სათავისოდ და ყველაფერი სათავისოდ გამოიყენა. ამიტომ საზოგადოებამ სააკაშვილს გამოუტანა ძალიან კარგი განაჩენი. როცა პოლიტიკაში მოვდიოდი, ერთმა პოლიტიკოსმა მითხრა, ხალხს ერთჯერ მოატყუებ, მეორეჯერ მოატყუებ, მაგრამ მესამედ ვეღარ მოატყუებო. სწორედ ეს დამტკიცდა სააკაშვილის შემთხვევაში. მან მოატყუა ხალხი 2003 წელს. ხალხმა თავი მოიტყუა 2008 წელს. სამაგიეროდ, 20012 წელს ხალხმა სააკაშვილი იქით მოატყუა. მათ მიტინგებზე ზოგი შიშის გამო დადიოდა. სინამდვილეში მივიდა და ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცა. ხალხი ძალიან გონიერია. სააკაშვილს რომ დაენახა, მომხრეები არ ჰყავდა, შეეძლო წინასაარჩევნოდ რაღაც სისულელე გაეკეთებინა ცხინვალის ხეობაში, აფხაზეთში, ან შიდა დაძაბულობა გამოეწვია. ჩვენი მოგების ფორმულა ერთი იყო, ბიძინა ივანიშვილის ფიგურა, როგორც ადამიანის და საზოგადოებაში მისი ადამიანური კაპიტალის დამსახურება. მეორე კი – საზოგადოების გონიერება. საზოგადოებამ თქვა, რომ ბიძინა ივანიშვილს აქვს რესურსი არა მარტო ფულადი, არამედ ადამიანური. მინდა აღვნიშნო, რომ ივანიშვილის ფულადი რესურსი ამ არჩევნებში არ გამოგვიყენებია, არ გამოგვაყენებინეს. თავდაპირველად ამბობდნენ, ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკაში არ აქვს გამოცდილებაო, მაგრამ დავინახეთ, რომ ბევრ 20 და 40-წლიანი გამოცდილების მქონე სტაჟიან პოლიტიკოსზე მეტი გამჭრიახობა გამოიჩინა. ბიძინა ივანიშვილმა თავისი სიდინჯით, განათლებით, გონიერებით ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ სააკაშვილს თვითონ წაეგო არჩევნები.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ვარდან სედრაქიანი: „ჯავახეთს სომხეთს დავუბრუნებ“

## პრეზიდენტობის კანდიდატი სოხუმისა და ცხინვალის აღიარებას აპირებს

შორენა მარსაგიშვილი

**წელს სომხეთში საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება. ისევე, როგორც ჩვენთან, პრეზიდენტობის სურვილი სომხეთშიც ბევრს უჩნდება. ამ სურვილმა მწერალ ვარდან სედრაქიანსაც შეუღიტინა.**

როგორც სომეხი ექსპერტები განმარტავენ, მას დიდი შანსები არა აქვს და არც დიდი პოპულარობით სარგებლობს. ის ამომრჩეველთა გულების მოგებას საქართველოს ხარჯზე აპირებს.



სხვა სომეხი პოლიტიკოსების მსგავსად, სედრაქიანსაც ეშმაკი არ ასვენებს და ჯავახეთის დაბრუნებით იმუქრება. მოგეხსენებათ, რომ სომეხი პოლიტიკოსების ნაწილი ჯავახეთს სომხეთის ტერიტორიად მიიჩნევენ. ერევანში არაერთხელ გაუმართავთ აქცია და ქართველებისგან ამ მიწის დაბრუნება მოუთხოვიათ.

ასეთი მოთხოვნები რუსეთში მცხოვრებმა სომხებმაც გააჟღერეს. ერთი-ორმა კი პირობა დადო ამ მიზანს იარაღით ხელშიც მივაღწევთო.

ნაკლებად რადიკალური სომხები მხოლოდ ჯავახეთის ავტონომიას სჯერდებიან. რამდენიმე წლის წინ მათ ჯავახეთის დროშა, გერბი და ჰიმნიც კი შექმნეს.

ოფიციალური ერევანი ამ სულელურ მოთხოვნებს აიგნორებს. და არა იმიტომ, რომ თავადაც არ მოსდით თავში მზაკვარი აზრები. უბრალოდ მათ იციან, რომ თბილისთან ურთიერთობის გაფუჭება არ ღირს.

მართალია გვიმტკიცებენ, რომ სომხეთში საქართველოზე ამოსდით მზე, მაგრამ ანტიქართული რიტორიკა აქ კარგ ტონად ითვლება. ეს არც გამჭრიახ სედრაქიანს გამოეპარა. მან სომხების მოხიბვლა ნაცადი ხერხით სცადა.

ის არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას აპირებს. ამის შესახებ განცხადება მან ერევანში, „ტესაკეტის“ პრესკლუბში სტუმრობისას განაცხადა.

— ბევრი ფიქრობს, რომ სომხეთს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება არ შეუძლია, რადგან ეს მის ინტერესებში არ შედის, რამდენადაც საქართველოზე სომხეთისთვის მნიშვნელოვანი ბევრი გზა გადის. დღეს ჩვენ მსოფლიოსგან არცახის (ყარაბაღის) აღიარებას მოვითხოვთ, ასეთ შემთხვევაში კი, ჩნდება კითხვა: ჩვენ თვითონ რატომ არ ვაღიარებთ ამ სახელმწიფოების დამოუკიდებლობას? თუ სომხებს არ სურთ აზერბაიჯანის შემადგენლობაში ცხოვრება და დამოუკიდებლობა უნდათ, ეს სამართლიანია, მაგრამ თუ ოსები და აფხაზები მოინდომებენ საქართველოს შემადგენლობიდან გასვლას — უსამართლოა?! — განაცხადა მან.

სედრაქიანი უფრო შორს წავიდა და აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მოითხოვა.

— ისტორიულად აფხაზეთის სამეფოს დედაქალაქი ქუთაისი იყო ამიტომ აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობა ქუთაისთან ერთად უნდა აღდგეს, — ამბობს სომეხი მწერალი.

აფხაზეთთან სომხებს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ. ბევრჯერ დამიწერია და კიდევ გავიხსენებ აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებებისას ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონის ნამოქმედარს. ასეთი სისასტიკე ქართველების მიმართ არავის არ გამოუჩენია. ბაგრამიანელები თვეების ბავშვებსაც კი ხოცავდნენ. ქართველების განდევნის შემდეგ კი ბედნიერები ბღაოდნენ „აფხაზია, ეტა ნაშა მალენკაია არმენიაო.“

აქვე იმასაც დავძენთ, რომ ამ ომის დროს ბევრი სომეხი ბიჭი იბრძოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის. ბევრმა თავი შესწირა ამ ქვეყანას. ბაგრამიანელები კი სხვანაირად მოიქცნენ.

ქართველმა საზოგადოებამ არაერთხელ მოსთხოვა იფიციალურ ერევანს ბაგრამიანელთა ნამოქმედარის შეფასება. მათ ღვაწლზე კომენტარი არც სომეხთა პატრიარქმა გარეგინმა ისურვა. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი მათ ნამოქმედარს არ იწუნებენ.

სხვათა შორის, სედრაქიანი არაა პირველი სომეხი პოლიტიკოსი, რომელმაც ცხინვალის და სოხუმის აღიარება მოითხოვა.

2008 წლის სექტემბერში ამ მოთხოვნით სომეხთა პირველი პრეზიდენტი ლევონ ტერ პეტროსიანი გამოვიდა.

სედრაქიანი მარტო აღიარებას არ სჯერდება და ჯავახეთის „დათრევასაც“ აპირებს.

პრეზიდენტობის კანდიდატის განცხადებით, იგი ჯავახეთის პრობლემასაც „გადაჭრის, მას სომხეთს დაუბრუნებს“ და რუსეთთან საერთო საზღვარს უზრუნველყოფს.

რუსეთთან საერთო საზღვრის უზრუნველსაყოფად სედრაქიანს მარტო ჯავახეთის დაბრუნება არ ეყოფა. ამისთვის სულ ცოტა ყაზბეგამდე გავიდეს.

ერთი შეხედვით ამ კაცის გამოხტომებზე კომენტარების გაკეთება მაგარი უაზრობაა. არადა, არ ღირს ამის ასე დატოვება. აბა, წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, ჩვენს პრეზიდენტობის კანდიდატს რომ ეთქვა რამე გადაბრუნებული სომხებზე. ჯერ ხომ ჩვენი ლიბერალები შეჭამდნენ. ქსენოფობად გამოაცხადებდნენ. იქ კი ანტიქართული განცხადებების გამო ლამის ღირსების ორდენით აჯილდოვებენ.

სომხეთში საპრეზიდენტო არჩევნები მიმდინარე წლის 18 თებერვალს გაიმართება. ვნახოთ, რამდენ ხმას მოუტანს ვარდანას ეს ნაბოდვარი

# ზურაბ ჯაფარიძე: „ივანიშვილისგან მიტევება არავის სჭირდება“

შორენა მარსაგიშვილი

**ცოტა ხნის წინ, პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკურ ამნისტიაზე გააკეთა განცხადება. ამას საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. არჩევნების წინ „ქართული ოცნება“ პირობას დებდა, რომ სამართლიანობას აღადგენდა. შესაბამისად საზოგადოებამ მათ იმიტომ მისცა ხმა, რომ დამნაშავეებს დასჯიდნენ. მერე კი უცბად გავარკვიეთ, რომ ისინი ძალიან ცოტას დასჯას აპირებენ.**

ალნიშნული ინიციატივის მიხედვით, ნაცმოძრაობის წარმომადგენლებმა ანუ ყოფილი ხელისუფლების იმ წევრებმა ვის წინააღმდეგაც სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება, დანაშაული უნდა აღიარონ და ამნისტია ითხოვონ, სანაცვლოდ კი თავისუფლებას მიიღებენ.

ამან ნაციონალებში დიდი ფორიაქი გამოიწვია. ამნისტიის წინააღმდეგ პირველმა გოგა ხაჩიძემ გაილაშქრა. მან ამჯერადაც თავის საბრძოლო იარაღი ფეისბუქი გამოიყენა.

ხაჩიძის სტატუსს უცვლელად გთავაზობთ:

— ბ-ნო ბიძინა ივანიშვილო!

ღრმადპატივცემულო პრემიერო!

არაფერი, საერთოდ არაფერი, აბსოლუტურად არაფერი თქვენი საპატიებელი მე არ გამიკეთებია!

ამიტომ, თავზე ნუ მახვევთ მაგ თქვენს „პატიებას“, მე არაფერში არ მჭირდება!..

გაცილებით ზუსტად გადმოვცემდი ახლა ჩემს სათქმელს, ეთიკის ნორმებს რომ არ ვიცავდე!

ვერაფერ იტყვი, კაცი ამბობს რომ საპატიებელი არაფერი აქვს. თუმცა ამას ალბათ პროკურატურა გაარკვევს. სხვათა შორის, ბოროტი ხმები ამბობენ, რომ ხაჩიძეს კარგა ხანია კბილაშვილის სმაილიკი დასდევს.



ივანიშვილის მოწოდებას მონანიებაზე გუშინ დეპუტატი ზურაბ ჯაფარიძეც აღშფოთდა.

— მოსანანიებელი არაფერი გვაქვს, — ასე პასუხობს საპარლამენტო უმცირესობის წევრი ზურაბ ჯაფარიძე საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივას ე.წ. პოლიტიკური ამნისტიის შესახებ.

დეპუტატ ჯაფარიძის განცხადებით, ნაციონალურ მოძრაობაში ამ საკითხზე — მუშაობა არ მიმდინარეობს და აღნიშნული თემა საერთოდ არ განიხილება.

— ეს ყველაფერი სასაცილოა. პრემიერ-მინისტრისა და „ქართული ოცნებისგან“ მიტევება არავის სჭირდება. წინა ხელისუფლების ჩინოსნების 99 პროცენტი სუფთა იყო და კორუფციაში არ გარეულა, — აცხადებს ჯაფარიძე.

ის ამ ეტაპზე სხვა რამით არის შეშფოთებული. ჯაფარიძის განცხადებით, ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა და უცხოური ინვესტიციების შემოსვლა შეჩერებულია.

— ახალმა ხელისუფლებამ შრომის ბაზარი გადატვირთა, რაც ბიზნესმენებს აფრთხობს, რადგან მოგება ნაკლები რჩებათ. პრემიერის მხრიდან ვრცელდება არაპოპულისტური განცხადებები, როგორიცაა ჰესების მშენებლობის შეჩერება, კაზინოების დახურვა, „ტავ ჯორჯიასთან“ გაურკვეველი მდგომარეობა, ეს ყველაფერი ეკონომიკური ზრდის შეფერხებას უწყობს ხელს. წინა ხელისუფლების პირობებში საქართველო ბიზნესის განვითარების და თავისუფლების კუთხით 21-ე ადგილზე იყო, რაც უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად ძლიერ სიგნალი იყო. ბიზნესისათვის მთავარი სტაბილურობაა და წინა ხელისუფლების პირობებში მხოლოდ 2008 წლის ომის დროს იყო ეკონომიკურ ვარდნა, თუმცა მაშინდელმა ხელისუფლებამ შეძლო ეკონომიკის მდგომარეობიდან გამოყვანა და დასტაბილურება, — განაცხადა ჯაფარიძემ.

ის სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორად თენგიზ გუნავას დანიშვნის ფაქტსაც გამოეხმაურა. დეპუტატის განცხადებით, გუნავა გუბერნატორად კანონიერად დაინიშნა.

— მოვისმინე, რომ თითქოს გუნავას დანიშვნა არაკანონიერია. მე არ ვიცი, რა წერია კანონში ამასთან დაკავშირებით და არ ვარ ამ საკითხში კომპეტენტური, მაგრამ კონსტიტუციურად არანაირი დარღვევა არ არის. მე ვიყავი პრეზიდენტთან ერთად გუნავას წარდგენაზე და იგი სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორად დაინიშნა იმიტომ, რომ იცნობს ამ რეგიონს კარგად, აქვს კორუფციასთან ბრძოლის გამოცდილება და თუ გავითვალისწინებთ ბოლო მონაცემებს, კორუფციის ნიშნები უკვე გაჩნდა, მაგალითად, პატრულის მიერ ქრთამის აღების ფაქტი, რომელიც პრეზიდენტმა გუშინ გააჟღერა. აღნიშნულთან დაკავშირებით, მე წავიკითხე შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება ამ ფაქტის არარსებობის შესახებ. სჯობს გამოძიება დაიწყონ ამ საქმეზე, რადგან თუ ასეთი პროცესები გაგრძელდება, ჩვენ წარსულში დაბრუნება მოგვიწევს, — განაცხადა ჯაფარიძემ.

ჟურნალისტის კითხვაზე, იცის თუ არა თავად, სად მოხდა ეს ფაქტი, ჯაფარიძე აღნიშნა, რომ ინფორმაციას ამის შესახებ არ ფლობს.

ჯაფარიძემ გუშინ პრემიების გამოც გაინერვიულა თავი. მისი განცხადებით, როდესაც სამუშაო ადგილები მცირდება, ხელისუფლებას პრემიები არ უნდა დაერიგებინა.

— საარჩევნო კამპანიის დროს „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ძალიან ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ ჩვენ ძალიან დიდ პრემიებს ვიღებდით. ახლა კი, როდესაც ქვეყანაში ეკონომიკური ვარდნა და სამუშაო ადგილების ნაკლებობაა, მათ საახალწლოდ პრემიები დაირიგეს, ვითომდა ბიუჯეტის გასასწორებლად. 2012 წლის ბიუჯეტი ჩვენი დაგეგმილია და მიზეზი, რომელსაც ისინი ასახელებენ, უსაფუძვლოა. მაშინ, როდესაც წინა ხელისუფლება პრემიებს იღებდა, 12%-იანი ეკონომიკური ზრდა იყო, რაც ავანსის გაცემის შესაძლებლობას იძლეოდა, — განაცხდა ჯაფარიძემ.

საინტერესოა, რატომ არ აპროტესტებდა ჯაფარიძე ნაციონალი მინისტრების პრემიებს?

# ირაკლი ოქრუაშვილი 15 ათასი ლარის სანაცვლოდ გაათავისუფლეს

**საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის ფანებს შეუძლიათ საფუძვლიანად გაიხარონ. მათი ფალავანი ირაკლი ოქრუაშვილი თავისუფალია. ოქრო 11 იანვარს 15 ათასი ლარის სანაცვლოდ გაათავისუფლეს.**

შორენა მარსაგიშვილი

11 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ პროცესზე, მოსამართლე ზვიად ესებუამ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა ირაკლი ოქრუაშვილის 15 000 ლარის გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლების შესახებ. ირაკლი ოქრუაშვილი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.

ერთი დღით ადრე, თბილისის საქალაქო სასამართლოში უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნისა და ხელმძღვანელობის ბრალდების სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე დაკმაყოფილდა ბრალდების მხარის შუამდგომლობა, ბრალდებულების ირაკლი ოქრუაშვილისა და იოსებ გიგუაშვილის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის — გირაოთი 10 000-10 000 ლარის ოდენობით შეცვლის თაობაზე.

გიგუაშვილი გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან, რაც შეეხება ირაკლი ოქრუაშვილს, ვინაიდან იგი სხვა ბრალდების სს საქმეზე ჯერ კიდევ იმყოფება პატიმრობაში, მიუხედავად აღკვეთის ღონისძიების შეცვლისა, მისი დარბაზიდან გათავისუფლება ვერ განხორციელდა.

ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოში არჩევნების შემდეგ დაბრუნდა. არადა იცოდა, რომ მას დააპატიმრებდნენ. მაგრამ პარიზის ყურებას გლდანის საპყრობილე არჩია.

ოქრომ საქართველო 2007 წლის შემოდგომაზე დატოვა. უფრო სწორედ დაატოვებინეს. მას საფრანგეთმა პოლიტიკური თავშესაფარი მიანიჭა.

საქართველოში მისი დაბრუნება ნაციონალებს არ გაეხარდა. სხვა თუ არაფერი, ოქრომ ბევრი რამ იცის მათი შავი საქმეების შესახებ. ფრთიანი ანგელოზი არც ის ყოფილა, მაგრამ ზოგიერთთან შედარებით მართლა მამა აბრამის ბატკანია.

მის ყოფილ თანამოაზრეებს ოქროს ჩამოსვლა კიდევ ერთი მიზეზით არ გაუხარდათ. მათ ანგარიშსწორების ეშინიათ. ყველამ კარგად იცით, როგორ ჩააკითხა მან ზურაბ ადეიშვილს ავსტრიაში და ცხვირი გაუტეხა.



ამბობენ, რომ ის აქაც უპირებს ვიღაცეებს სახის ნაკვთების შელამაზებას. ანგარიში მას ბევრთან აქვს გასასწორებელი. მისი მისამართით ნაციონალებს არაერთი შეურაცხმყოფელი განცხადება აქვთ გაკეთებული. მას ციხეში მიცემული ჩვენების უკან წაღებასაც ხშირად ახსენებენ.

ამის წამოძახება მგონი გამართლებული არ არის. რადგანაც არავინ იცის თავად რას იზამდნენ ოქროს ადგილზე, რომ ყოფილიყვნენ.

ახლა ის თავისუფალია და ხალხი სეირის საყურებლად მოემზადა. ბოროტი ხმები ამტკიცებენ, რომ ის სააკაშვილის თამაშს ითამაშობს. ისე ის დიდად არც მეოცნებეებს ეხატება გულზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ისინიც ყოფილი ნაციონალები არიან არაფერი უნდა გაგვიკვირდეს.

# რატომ დახურა „ქართულმა ოცნებამ“ რეგიონებში ოფისები

ნათია ხურცილავა

**პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებათა პროექტი საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს, ელჩებს გააცნო.**

შეხვედრა სასტუმრო „რედისონში“ შედგა და მას პარლამენტის თავმჯდომარისა და დიპლომატიური კორპუსის გარდა ხელისუფლების მხრიდან პარლამენტის თავმჯდომარე, ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე ესწრებოდნენ.

ვახტანგ ხმალაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საქართველოში აკრედიტებულ ელჩებს გააცნეს კანონპროექტის არსი და განუმარტეს, თუ რის გამო გადაწყდა ცვლილებების შემუშავება.

– მოგეხსენებათ, რომ დეკემბერში ორი კანონპროექტის ინიცირება მოხდა პარლამენტში. საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის პროექტის საჯარო განხილვა 15 იანვრიდან იწყება. დღეს ჩვენ დიპლომატიურ კორპუსს გავაცანით პროექტის არსი, განვუმარტეთ, რა ცვლილებებზეა საუბარი და ისინი საქმის კურსში ჩავაყენოთ. დანარჩენს უკვე საჯარო განხილვები გვიჩვენებს, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით მოეწყობა, – აღნიშნა ვახტანგ ხმალაძემ.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების შემუშავების მიზეზი კიდევ ერთხელ განმარტა. როგორც ხმალაძემ აღნიშნა, ერთი მხრივ, პარლამენტის ქუთაისში გადატანა არ იყო საჭირო, მეორე მხრივ კი, პრეზიდენტის უფლებამოსილებები კონსტიტუციით გაბერილია, რისი დაბალანსებაც უნდა მოხდეს.

ვახტანგ ხმალაძე, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე:

– პარლამენტის ქუთაისში გადატანა არ იყო საჭირო. ეს ყოვლად გაუმართლებელი ნაბიჯია, ძვირადღირებული დრო იხარჯება წინ და უკან სიარულში. ყველანი ვართ დაქირავებული, თქვენ გვიხდით ხელფასს. წინ და უკან სიარულში კი დღეში ზოგჯერ ექვს საათს ვხარჯავთ. არა მხოლოდ დეპუტატები, არამედ მინისტრები, მინისტრის მოადგილეები, სხვა პერსონალი. მომიძებნონ ქვეყანა, სადაც ხის ნდობით არის აღჭურვილი. ასეთ მთავრობას ჩვენი მოქალაქეების მხარდაჭერა არ ექნება. ბუნებრივია, ეს ძალიან მძიმე კრიზისს გამოიწვევს.




პარლამენტი და მთავრობა სხვადასხვა ქალაქშია განთავსებული. შეიძლება სადმე იპოვონ, როგორც ერთხელ საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით აფრიკის რომელიღაცა ქვეყანა მოძებნეს, რომლის სახელიც საქართველოში არავის არ ჰქონდა გაგონილი. რაც შეეხება კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების მეორე პროექტს, 2004 წლიდან მოყოლებული, როცა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კონსტიტუციაში შეიტანა ცვლილება, ლამის 9 წელი ყველა ქართველი კონსტიტუციონალისტები, ვენეციის კომისია, ევროსაბჭო, აღნიშნავდა, რომ კონსტიტუცია გახდა დაუბალანსებელი, რომ პრეზიდენტს აქვს ფართო უფლებამოსილება და საჭიროა მისი დაბალანსება. რაღაც ცვლილებები ორი წლის წინ განხორციელდა, მაგრამ ის მხოლოდ შემოდგომიდან, პრეზიდენტის არჩევის შემდეგ ამოქმედდება. მანამდე დღევანდელი კონსტიტუცია ქმნის სერიოზულ რისკს პოლიტიკური კრიზისის წარმოქმნისა და დესტაბილიზაციისა. ამ კრიზისის შემქმნელი შეიძლება აღმოჩნდეს პრეზიდენტი. იმ შემთხვევაში თუ პრეზიდენტმა ერთპიროვნულად, პარლამენტთან შეუთანხმებლად მთავრობა გადააყენა და შემდეგ დანიშნა ისეთი მთავრობა, რომელსაც პარლამენტის ნდობა არ ექნება. იმ პარლამენტისა, რომელიც ხალჩვენ გვინდა, ეს რისკი თავიდან ავიცილოთ. ზოგს უნდა წარმოადგინოს, რომ ჩვენ ამ ცვლილებებით პრეზიდენტის უფლებებს ვზღუდავთ. ჩვენ ამით ვზღუდავთ პრეზიდენტის უფლებას, რომ შექმნას მთავრობა, რომელსაც ხალხის მხარდაჭერა არა აქვს და იმავდროულად პრეზიდენტს ვუფართოებთ და ვანიჭებთ უფლებას, რომ პარლამენტი ნებისმიერ დროს დაითხოვოს. რასაკვირველია, ვგულისხმობ, როდესაც პარლამენტსა და მას შორის წინააღმდეგობა წარმოიქმნება. კარგად უნდა დაფიქრდეს პრეზიდენტი, სანამ პარლამენტის დათხოვნის ნაბიჯს გადადგამს. არა მგონია ასეთმა ნაბიჯმა მას მოგება მოუტანოს ან მისი ავტორიტეტი გაზარდოს.

საქართველოში აკრედიტებულ ელჩებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა განუცხადა, მათ უცხოელ ელჩებს აუხსნეს, თუ რატომ მიიღო უმრავლესობამ საკონსტიტუციო ცვლილებების მომზადების გადაწყვეტილება და რა პოლიტიკური მოსაზრებები უდევს მას საფუძვლად.

უსუფაშვილის ინფორმაციით, საკონსტიტუციო ცვლილებების ორივე პროექტი განსახილველად მზად თებერვლის დასაწყისისთვის იქნება.

– საჭიროდ ჩავთვალე შევხვედროდი დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს და მათთვის აგვეხსნა თუ რატომ გადაწყვიტა უმრავლესობამ, პარლამენტმა ამ ცვლილების ინიცირება. რა პოლიტიკური მოსაზრებები უდევს მას საფუძვლად და რა პროცესია მოსალოდნელი. მე ავუხსენი ბატონ ელჩებს, რომ თებერვლის დასაწყისისთვის ორივე პროექტი მზად იქნება იმისთვის, რომ პარლამენტში დაიწყოს განხილვები. ორივე პროექტზე ჩვენი ამოცანაა, რაც შეიძლება ფართო კონსენსუსს მივაღწიოთ. ვინაიდან დაიწყო ცვლილებების საყოველთაო სახალხო განხილვა. ამ პროექტების მხარდაჭერა არ ნიშნავს, რომ ყველა „ქართული ოცნების“ წევრი გახდა. ყველას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ამ შემთხვევაში უმცირესობის წარმომადგენლებს, რომ თუ ისინი თვლიან, რომ კონკრეტულად ეს გადაწყვეტილებები სწორია ქვეყნისთვის და მათ შორის მათთვისაც, მათ ჰქონდეთ საშუალება, რომ მხარი დაუჭირონ ამ პროექტს, – განუცხადა ჟურნალისტებს დავით უსუფაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარის განმარტებით, ამ მიზნით მათ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებთან წინასწარი კონსულტაციები უკვე გამართეს.

– კონსულტაციები გრძელდება და ვისურვებ, რომ საკითხზე ფართო კონსენსუსი იქნას მიღწეული. ჩვენ არა მხოლოდ არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლის პრეცედენტის დამკვიდრება გვიწევს, არამედ ხელისუფლებაში ორი პოლიტიკური ძალის თანაცხოვრების. ეს რთული პროცესია, მაგრამ მე ვხედავ ამის საკმარის რესურსს ორივე მხარეს, – ამბობს უსუფაშვილი.

პარლამენტის თავმჯდომარემ საკონსტიტუციო ცვლილებების მომზადების მიზეზი კიდევ ერთხელ განმარტა და აღნიშნა, რომ მთავრობის დათხოვნა-დანიშვნასთან დაკავშირებული პროექტი მხოლოდ ერთადერთ რამეს ემსახურება – პრეზიდენტმა პარლამენტის, ანუ ხალხის გარეშე ვერ შექმნას ახალი მთავრობა.

– დანარჩენი უფლებამოსილებები პრეზიდენტს რჩება. ეს ცვლილება საჭიროა ქვეყნის სტაბილურობისთვის. სწორედ ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ მას მხარდაჭერა ექნება როგორც საზოგადოების, ისე პარლამენტის მხრიდან, – აღნიშნა დავით უსუფაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარეს ჟურნალისტებმა ამნისტიის კანონზე ხელმოწერის პროცედურებზე ჰკითხეს. იმ შემთხვევაში თუ პრეზიდენტი ხელს არ მოაწერს, მას ხელს პარლამენტის თავმჯდომარე მოაწერს და კანონი ძალაში შევა.

როგორც უსუფაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ამის შესახებ პრეზიდენტმა გუშინ მას პირადად უთხრა.

– ამნისტიის კანონზე ხელმოსაწერად პრეზიდენტს ვადა ამოეწურა. პრეზიდენტმა პირადად მითხრა, რომ ის კანონის ხელმოწერას არ აპირებს, – აღნიშნა უსუფაშვილმა.

იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის, ვახტანგ ხმალაძის განმარტებით, პრეზიდენტმა ხელი არ მოაწერა, შესაბამისად, ხელმოწერის კონსტიტუციური ვალდებულება მიენიჭა პარლამენტის თავმჯდომარეს, რომელსაც ამისთვის კონსტიტუციით მაქსიმალური 5-დღიანი ვადა აქვს განსაზღვრული. დოკუმენტი ხელმოწერის შემდეგ საკანონმდებლო მაცნეში უნდა გამოქვეყნდეს. ძალაში კი გამოქვეყნების დღეს შევა.

– ეს არის ხუთდღიანი უკიდურესი ვადა, რომლის ფარგლებშიც უნდა მოაწეროს ხელი პარლამენტის თავმჯდომარემ და უნდა გამოაქვეყნოს, – განმარტა ხმალაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარემ კომენტარი ასევე გააკეთა „ქართული ოცნების“ შტაბების დახურვასთან დაკავშირებით.

– როცა არჩევნები მთავრდება, შტაბისთვის განკუთვნილი ოფისები ყველგან იხურება, – ამბობს დავით უსუფაშვილი და მას ბუნებრივ პროცესს უწოდებს.

როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, საარჩევნო შტაბების დახურვის პარალელურად „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ საკუთარ პარტიულ ოფისებს ხსნის.

– ძალიან მარტივი რამ ხდება, არჩევნები დამთავრდა. როცა არჩევნები მთავრდება, შტაბური ოფისები ყველგან იხურება, თუმცა არ იხურება პარტიული ოფისები. მე როგორც ვიცი, „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ პარტიულ ოფისებს ხსნის და ამ პროცესებს თებერვალში დაასრულებს. რაც შეეხება უშუალოდ „რესპუბლიკურ პარტიას“, ჩვენ იმ საბიუჯეტო თანხების ფარგლებში, რაც გამოყოფილი გვაქვს, გახსნილი გვაქვს ოფისები და ისინი ფუნქციონირებენ, – აღნიშნა უსუფაშვილმა.

# როგორ მოხდება პატიმრების გათავისუფლება

ნათია ხურცილავა

**სოზარ სუბარმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტრო საკუთარ საიტზე გამოაქვეყნებს ზუსტ სიას, თუ რომელი პოლიტპატიმარი რომელი დაწესებულებიდან გათავისუფლდება.**

მინისტრის თქმით, მას შემდეგ, რაც პარლამენტის თავმჯდომარე მოაწერს ხელს ამნისტიის შესახებ კანონს, ის დღის ბოლოს შევა ძალაში და 13 იანვარს, კვირა დილიდან დაიწყება პოლიტპატიმრების გათავისუფლება, რომლებიც პარლამენტის დადგენილებით, პირდაპირ, დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ექვემდებარებიან.




– შესაბამისად, დილის 10:00 საათზე, ყველა საპყრობილიდან დაიწყება მათი გამოშვება და ერთ საათში ყველა მათგანი დატოვებს საპატიმროს, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

რაც შეეხება დანარჩენი კატეგორიების პატიმრებს, რომელთაც ამნისტია ათავისუფლებს ან სასჯელს უნახევრებს, სუბარის უწყებას ორკვირიანი ვადა ჰქონდა საბუთების მოსაწესრიგებლად. თუმცა ეს სამუშაო ჩვენ წინასწარ ჩავატარეთ სრულად. შესაბამისად, როგორც კი ძალაში შევა ამნისტია, ჩვენ ვიწყებთ ამ საბუთების სასამართლოებში გადაგზავნას და შემდეგ სასამართლოს პრეროგატივაა, რაც შეიძლება დაბრკოლებების გარეშე მოახდინონ ამ ადამიანების გათავისუფლება, – აღნიშნა სოზარ სუბარმა.

სასჯელაღსრულების მინისტრის თქმით, არ არის გამორიცხული, ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლოს კითხვები გაუჩნდეს და საბუთები უკან დაბრუნდეს. თუმცა მინისტრი ვარაუდობს, რომ ეს იქნება ერთეული შემთხვევა.

მთლიანობაში კი, სუბარის განცხადებით, 17 ათასზე მეტი ადამიანის საქმე გადაეგზავნება სასამართლოს და ეს შეეხება მხოლოდ პატიმრობაში მყოფ პირებს. ამასთან, მინისტრის განმარტებით, ამას ემატება პრობაციონერების საქმეები, რომლებიც მომზადებული აქვს მის უწყებას და ისინიც გადაიგზავნება სასამართლოში.

# ალასანია ვეტერანებზე ზრუნვას იწყებს

ნათია ხურცილავა

**თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა. მინისტრმა ვეტერანებსა და მათ უფლებებზე ისაუბრა. მისი განცხადებით, თავმოყვარე ქვეყანა მის ომის ვეტერანებს ღირსეულ პატივს უნდა აგებდეს და უვლიდეს მათ.**

როგორც თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალსანიამ განაცხადა, საქართველოს მთავრობა ვეტერანთა უფლებებს საკანონმდებლო დონეზე დაიცავს.

როგორც მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა, სპეციალური სამთავრობო კომისია, რომელიც ვეტერანების სოციალური დაცვის უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნა, მუშაობას დღეიდან დაიწყებს და მთავრობისთვის სპეციალურ წინადადებებს მოამზადებს.

ირაკლი ალასანიას ინფორმაციითვე, მომზადდება მთელი საკანონმდებლო ბაზა, როგორ უნდა იყოს ორგანიზებული ვეტერანთა დაცვა და როგორ უნდა მოწესრიგდეს სტრუქტურულად კანონმდებლობა, რომელიც ვეტერანთა უფლებებს გარანტირებულად დაიცავს.

სამთავრობო კომისიას ჯანდაცვის და სოციალური დახმარების საკითხთა მინისტრი დავით სერგიენკო უხელმძღვანელებს.

– კომისიაში მოადგილეების დონეზე შევა ყველა დაინტერესებული უწყების წარმომადგენელი და უახლოეს პერიოდში გახდება ნათელი, რამდენად ქმედით ნაბიჯებს გადადგამს საქართველოს მთავრობა ვეტერანების, ომში დაღუპულთა და დაჭრილთა ოჯახების მოსავლელად, მათთვის იმ გარანტიების მისაცემად, რაც აუცილებელია ღირსეულ, თავმოყვარე ქვეყანას ჰქონდეს. ქვეყანა ფასდება იმით, როგორ უვლის ომში დაღუპული გმირების ოჯახებს, – განაცხადა ალასანიამ.



მისივე განმარტებით, ვეტერანებზე ზრუნვა წელს თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტი იქნება.

# ირინა სარიშვილი: „ახალი ხელისუფლება კონსტიტუციას საკუთარ თავზე ირგებს“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ირინა სარიშვილთან

***– ქალბატონო ირინა, მოდით, შევაფასოთ მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. თქვენთვისაც ცნობილია, რომ საპარლამენტო უმრავლესობა საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელებას გეგმავს. როგორ ფიქრობთ, შეიზღუდება სააკაშვილის უფლებამოსილება? თქვენ როგორ შეაფასებდით ამ ფაქტს?***

– მე მაინც ვფიქრობ, რომ გარკვეულწილად ეს პიარის ნაწილია, იმიტომ, რომ ერთი მხრივ, ბიძინა ივანიშვილი წინადადებას აძლევს სააკაშვილს, რომ გამოიყენოს თავისი უფლება და დაითხოვოს პარლამენტი და მეორე მხრივ, მისი უმრავლესობა საუბრობს პრეზიდენტის უფლებამოსილების შეზღუდვაზე. ერთიც და მეორეც მე მგონია, რომ მაინც პიარის ელემენტებია. დღევანდელმა ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს და წინა ხელისუფლების მსგავსად პიარს არ გადააყოლოს საკუთარი საქმიანობაც და ქვეყანაც. აქედან გამომდინარე, ის რომ ვთქვათ ამ საკითხზე დაიწყება ბრძოლა პარლამენტში, ბუნებრივია იქნება ბრძოლა უმცირესობისგან, უმრავლესობიდან იქნება ძველებური ტექსტების გახსენება უმცირესობის მიმართ, ეს, სავარაუდოდ, გარკვეულწილად დაეხმარება კოალიციას, რომ კიდევ ერთხელ შეახსენოს მოსახლეობას, რომ ისინი ნამდვილად დაპირისპირებულები არიან ნაციონალურ მოძრაობასთან. იმიტომ, რომ გარეგნულად და ვიზუალურად, რომ აღარაფერი ვთქვათ შინაარსზე, ეს სულ უფრო და უფრო ნაკლებად ჩანს.

***– თქვენ ამ საკითხში პიარის ელემენტებს ხედავთ?***

– მე ვხედავ პიარის ელემენტებს ეს ერთი და მეორეც, იმდენად, რამდენადაც არასაპრეზიდენტო, არამედ საპარლამენტო რესპუბლიკის სისტემაზე გადავდივართ, არც დღევანდელი ხელისუფლებაა გამონაკლისი და კონსტიტუციის საკუთარ თავზე მორგებას ფიქრობს. ჩვენ არ გვყოლია საქართველოში არც ერთი ხელისუფლება, რომელსაც არ შეეტანოს ცვლილება კონსტიტუციაში, ან მცდელობა არ ჰქონოდეს ცვლილების შეტანის, იმის მიხედვით, თვითონ რა პოსტი სჭირდებოდა და თვითონ როგორ წარმოედგინა ქვეყნის მართვა. კონსტიტუციაც და ქვეყნის უმნიშვნელოვანესი საკონსტიტუციო მუხლები, რომლებიც ნორმალურ ქვეყანაში, წლების კი არა საუკუნის განმავლობაშიც კი ძლებს ხოლმე და მხოლოდ ნიუანსური ცვლილება შეიძლება შევიდეს, ჩვენთან დიამეტრალურად იცვლება ხოლმე. იქიდან გამომდინარე, რომ ბიძინა ივანიშვილს თავიდანვე აქვს გამოცხადებული, რომ ის პრემიერ-მინისტრი უნდა იყოს, უბრალოდ ვერ გაარკვია წელიწად-ნახევრით თუ უფრო დიდი ხნით. ხოლო რესპუბლიკელები მოსული არიან პარლამენტის სათავეში და ამდენად, ხელისუფლების სათავეში, მომავალ საპარლამენტო რესპუბლიკაში, აქედან გამომდინარე, ეს ცვლილება უმრავლესობას ხელსაც აძლევს.

***– რატომ დაგრჩათ ისეთი შთაბეჭდილება, რომ კონსტიტუციის საკუთარ თავზე მორგებას ცდილობენ?***

– აქ ჩემს შთაბეჭდილებაზე არ არის საუბარი, როცა იყო შევარდნაძე ხელისუფლებაში, მაშინ საპრეზიდენტო ინსტიტუტის გაძლიერებაზე იყო საუბარი, მას შემდეგ, რაც შევარდნაძემ პრეზიდენტად კენჭი იყარა. როცა მოვიდა



სააკაშვილი, მას ეცოტავა შევარდნაძისთვის მინიჭებული უფლებები და ამიტომ მან კიდევ უფრო გაიძლიერა თავისი უფლებები. დღეს, როცა საუბარია საპარლამენტო რესპუბლიკაზე, დღევანდელი ხელისუფლება უკვე მხარს უჭერს საპარლამენტო რესპუბლიკისთვის საჭირო კონსტიტუციით ქვეყნის მართვას. აქ იმაზე არ არის ლაპარაკი, რომელი უფრო სჭირდება ქვეყანას და რომელი არა. ორივე მოდელს თავისი არგუმენტაცია აქვს. მე პირადად, ყოველგვარი სახელისუფლო ინტერესის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ საშინლად არ მომწონს რესპუბლიკელები და ეს ხელისუფლება სწორედ ამ პარტიიდან გამომდინარე არ მიმაჩნია წინ გადადგმულ ნაბიჯად, თუ სააკაშვილის ფაქტორს არ ჩავთვლით, ამისდა მიუხედავად, მე იმ გამოცდილებიდან, რაც ვნახეთ ამდენი წლის განმავლობაში, ნამდვილად მიმაჩნია, რომ საქართველოსთვის უკეთესია საპარლამენტო რესპუბლიკის არსებობა, პარლამენტის მიერ არჩეული პრეზიდენტით. ანუ რომ არ მოხდეს ამ ერთ ადამიანზე ისტერიული სიძულვილის, სიყვარულის და მუდმივი არაპოლიტიკური გრძნობების გაღვივება.

***– სხვათა შორის, საპრეზიდენტო კანდიდატებზე საუბარი უკვე დაწყებულია...***

– ეს თემა არც ჩაცხრება და მომავალი პრეზიდენტი, დღევანდელი პრეზიდენტიდან განსხვავებით ასე ულიმღამო ვითარებაში ვერ იქნება არჩეული. ამიტომ მათ ეს წინასაარჩევნო მღელვარებები სჭირდებათ. თუმცა მე არ ვიჩქარებდი იმ დასკვნის გაკეთებას, რომ მომავალი კანდიდატურა აუცილებლად ირაკლი ალასანია იქნება. ის არის ერთ-ერთი კანდიდატურა, მაგრამ მე არ გამოვრიცხავ, რომ ბიძინა ივანიშვილმა პრეზიდენტის პოსტზეც ვინმე რესპუბლიკელი მოგვიძებნოს. ამის ნიშნები უკვე არის. თავისუფლად შეიძლება ასე მოხდეს. მან რამდენიმე თავის გამოსვლაში ასეთი რესპუბლიკელები დაასახელა კიდევაც, რომლებსაც დიდი სიამოვნებით იხილავდა პრეზიდენტის პოსტზე. ირაკლი ალასანია კი არც ყოფილა რესპუბლიკური პარტიის წევრი და მე მგონი, არც არასდროს არ იქნება.

***– სააკაშვილს რაც შეეხება, თქვენც იცით, რომ საზოგადოების ერთი ნაწილი მის გადადგომას ითხოვს, ეს რამდენად მოხერხდება?***

– ვერ გეტყვით. მე საერთოდ ამ წუთას მარტო სააკაშვილში არ ვხედავ პრობლემას. ხელისუფლება შეიცვალა, ნამდვილად შეიცვალა და თითოეულ ჩვენგას საკუთარი თავისთვის ყოველდღიურად ამის შეხსენება გვიწევს. იმიტომ, რომ ჩვენი შეგრძნებები რაც გვქონდა წინა ხელისუფლების დროს, თუ იმას გამოვრიცხავთ, რომ პატიმრები განთავისუფლდნენ, აი, ამ მომენტს თუ გამოვრიცხავთ, ტელევიზიებიდან დაწყებული, შინაარსობრივი მხარით გაგრძელებული, არ შეცვლილა. ამიტომ მე მხოლოდ სააკაშვილის გადადგომაში კი ვერ ვხედავ პრობლემას, არ მორღვეულა სისტემა. არც გადადგმულა აქეთკენ ნაბიჯი, მთავარი ეს არის. მმართველობის ფორმის შეცვლაზე საუბარი სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მართვის იმ წესზე, რომელიც დანერგილი ჰქონდა იმ ხელისუფლებას, უარს ვამბობთ. ეს სულ სხვადასხვა თემაა. ამიტომ სააკაშვილთან ერთად, არა მხოლოდ ვიზუალურად, არამედ შინაარსობრივადაც ჩვენს თვალთახედვას უნდა მოსცილდნენ ეს ადამიანები. მე არ ვამბობ, დახოცონ, დაიჭირონ ან დაასახიჩრონ. ის ადამიანები უნდა მოსცილდნენ, რომლებიც სხვადასხვა პოსტებზე ხელისუფლებაში იყვნენ და დღეს პარლამენტიდან იწონებენ თავს. თუნდაც მასმედიიდან, ისეთი წარმომადგენლები, მე არავის მიმართ არა მაქვს აგრესიული დამოკიდებულება, მაგრამ კონკრეტული ადამიანები, რომლებიც კარის ჟურნალისტების ფუნქციით სარგებლობდნენ, ასევე კარის მომღერლების ფუნქციით სარგებლობდნენ, კი ბატონო იცხოვრონ, არავინ არ ითხოვს მაგათ დაჭერას, მაგრამ ხომ არ შეიძლება ეს უსასრულოდ გაგრძელდეს. ამ ხალხის ისევ ძველ პოზიციებზე ხილვა, საზოგადოებაში იწვევს არა მხოლოდ აგრესიას, არამედ დაუსჯელობის გრძნობასაც და არც ამ ხელისუფლების მიმართ, იმიტომ, რომ უნაკლო არავინ არ არის და დიდი ალბათობაა, რომ ამ ხელისუფლებამაც დაუშვას შეცდომა და მათაც პასუხს არავინ მოსთხოვს. ხოლო რაც ყველაზე მთავარია, არც სააკაშვილისტთვის აპირებს ვინმე პასუხის მოთხოვნას.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ სააკაშვილი მივა ოქტომბრის ბოლომდე?***

– სააკაშვილი რა თქმა უნდა, შეეცდება, რომ ოქტომბრის ბოლომდე მივიდეს. თეორიულად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უმრავლესობასაც და ოპოზიციასაც, იმ შემთხვევაში, თუ აწყობს ესკალაცია მდგომარეობის და რაღაცა კონფლიქტის გამოწვევა, მაშინ აი, ამ თემის წინ წამოწევა, ამ ვერსიიდან გამომდინარე, სწორად გადადგმული ნაბიჯია, იმიტომ, რომ თუ სააკაშვილი სერიოზულ ზეწოლას იგრძნობს, ეს ძალიან ცუდად იმოქმედებს მის ნერვებზე და არავინ არ იცის, რა შიდა ხეთქვები და ბზარები შეიძლება გაჩნდეს ამ დროს მთლიანად ხელისუფლებაში. თუმცა ეს არის ძალიან თეორიული ვარაუდი, მე მქონდა ასეთი ყველაზე დაბალპროცენტიანი ვარაუდი არჩევნების წინ, რომ ყველაფერი დამთავრდებოდა მშვიდობიანად იმ შემთხვევაში, თუ კოალიცია ოცნება და ნაციონალები იმთავითვე მორიგებულები იყვნენ ერთმანეთთან შემდგომ პირობებზე. ჩემი ეს ყველაზე თეორიული და ყველაზე დაბალპროცენტიანი ვარაუდი გამართლდა ჩემთვის მოულოდნელად. ამიტომ დღეს მე რაღაცა პროცენტებით და ალბათობებით საუბარი, კი ასეთ არაპროგნოზირებად სიტუაციაზე, როგორშიც ვართ, ძალიან მიჭირს.

***– ქალბატონო ირინა, ვახტანგ ხმალაძე აცხადებს, რომ სააკაშვილს 2 აპრილიდან უკვე შეეძლება პარლამენტის დათხოვნაო. თქვენი აზრით, არის სააკაშვილი ამაზე წამსვლელი?***

– მე ვფიქრობ, რომ თუ უმცირესობა აზროვნებს, მათ ეს არ უნდა აწყობდეთ, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით. იმიტომ, რომ მიუხედავად იმისა, რომ დღეს საკმაოდ დაიწია ოცნების რეიტინგმა, ეს კარგ შემთხვევაშიც ასე იყო მოსალოდნელი. ობიექტურები უნდა ვიყოთ, ყოველთვის მოლოდინი იმაზე დიდია ხოლმე, ვიდრე ეს ვინმეს წარმოუდგენია, ოცნების მიმართ მოლოდინებმა იკლო და არცთუ უსაფუძვლოდ, თუმცა ამის მიუხედავად, არა მგონია, ეს რაიმე სახით შველოდეს ნაციონალურ მოძრაობას. ეს იქნებოდა ძალიან ხელსაყრელი, დღეს რომ არსებობდეს მესამე ძლიერი ცენტრი, ანუ რეალური ალტერნატივა დღევანდელი სიტუაციისთვის. იმისათვის, რომ ასეთი ცენტრი არ ჩამოყალიბებულიყო, ნაციონალებმაც და ოცნებამაც ყველაფერი გააკეთეს. ამიტომ ამ მხრივ ისინი უსაფრთხოდ გრძნობენ თავს. მათ მესამე კონკურენტი არ ჰყავთ. ამ აზრს არ ეყოლება მომხრე უმრავლესობაშიც, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში შეიძლება კოალიციის საპარლამენტო სიაც გადახალისდეს. დღეს არც შედის ვინმეს ინტერესში. ამიტომ მე ძნელად წარმომიდგენია, რომ ამ შემთხვევაში ან სააკაშვილს, ან ბიძინა ივანიშვილს ასეთი ნაბიჯის რეალურად გადადგმა აწყობდეთ.

***– ივანიშვილი ყოველ მის გამოსვლაში მოუწოდებს სააკაშვილს თუ მას სურს, შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი...***

– ივანიშვილი ბევრ რამეს ამბობს. ვიმეორებ, ივანიშვილი ახლა სწავლობს პოლიტიკურ პიარსაც და ახლა აკეთებს პოლიტიკურ განცხადებებს და ხშირ შემთხვევაში მალევე გამოდის და თავისივე ნათქვამზე ამბობს, რომ ეს არასწორად თქვა, შეცდომაში იყო შეყვანილი და ბოდიშსაც იხდის. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ამ განცხადებაზეც იგივეს თქმა მოუწიოს. მე ეჭვი არ მეპარება, რომ ბიძინა ივანიშვილს, თავადაც რომ ჰქონდეს ახალი საპარლამენტო არჩევნების ამის უფლება მისმა პოლიტიკურმა გარემოცვამ მისცეს. იმიტომ, რომ მისი პოლიტიკური გარემოცვის ინტერესში, მათ ინტერესში ვინც დაკმაყოფილდა, ეს ნამდვილად არ შედის. განსაკუთრებით ეს ეხებათ მაჟორიტარ დეპუტატებს, კოალიცია ოცნებიდან, რომლებმაც უკვე ძალიან დიდი იმედგაცრუება გამოიწვიეს მოსახლეობაში, იმდენად, რამდენადაც ამ არჩევნების შემდეგ აღარც გაუხედავთ იმ ქალაქებისკენ და რაიონებისკენ, სადაც ხალხს ყველაფრის გაკეთებას ჰპირდებოდნენ. ამიტომ მათ ეს ნამდვილად აღარ ენდომებათ.

***– რას ელით 2013 წელში, პოლიტიკურად რამდენად დაძაბული წელი იქნება?***

– ვერ გეტყვით, მე ეს ადრეც მითქვამს, განსაკუთრებით იმ პერიოდში, სანამ სააკაშვილი იქნება პრეზიდენტი, ურთულესი წელი გველის. საერთოდ ზოგადადაც რთული წელი გველის და ამ სირთულის მოხსნა და რაღაცისთვის აზრის მიცემა შეუძლია მხოლოდ ძლიერი მესამე პოლიტიკური ცენტრის შექმნას. იმიტომ, რომ ასეთი პოლიტიკური ცენტრის შექმნის შემთხვევაში გაქრება ის საფუძველი, რის საფუძველზე ოცნება და ნაციონალები ერთმანეთს ხელისუფლებაში დარჩენისთვის შეუწყობენ ხელს და ასეთ ვითარებაში განუკითხაობა არის გარდაუვალი, იმისდა მიუხედავად როგორი მაღალი წარმოდგენაც არ უნდა გვქონდეს დღევანდელ პოლიტიკურ ლიდერზე.

## სახელმწიფო დროშა არ შეიცვლება

საქართველოს სახელმწიფო ხუთჯვრიანი დროშის შეცვლა არ იგეგმება.

ამის შესახებ განცხადებას საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო ავრცელებს.

„ბოლო პერიოდში სხვადასხვა მედია-საშუალებებში, ინტერნეტ პორტალებზე და სოციალურ ქსელებში გავრცელდა ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო დროშის შესაძლო შეცვლასთან დაკავშირებით, ამავე დროს ხაზგასმულია, თითქოს საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მამუკა გონგაძე, აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის მიზნით, საზოგადოებას საერთო რეფერენდუმის ჩატარებას სთავაზობს.

საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო კატეგორიულად აცხადებს, რომ გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს. არანაირი განმარტება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არც მამუკა გონგაძეს და არც ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს არცერთ მედია საშუალებაში არ გაუკეთებია“ – ნათქვამია საბჭოს განცხადებაში.

მათივე თქმით, სახელმწიფო სიმბოლიკის შესაძლო ცვლილების საკითხი ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს კომპეტენციას არ განეკუთვნება.

**ნიუსპრესი**

## ზვავში მოყოლილი სამივე მთამსვლელი მაშველებმა გარდაცვლილი იპოვეს

მყინვარიდან დაშვების დროს, ზვავში მოყოლილი სამივე რუსი მთამსვლელი, მაშველებმა გარდაცვლილი იპოვეს.

ამის შესახებ „ნიუსპრესს“ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შალვა ელოშვილმა განუცხადა.

მისი თქმით სამაშველო სამსახურის ადგილობრივ ძალებს, თბილისიდან ჩასული დამხმარე ჯგუფებიც შეუერთდნენ.

რაც შეეხება ერთ გადარჩენილ მთამსვლელს, ელოშვილის განცხადებით მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ნორმალურია.

**ნიუსპრესი**

## კასპში ავარია მსხვერპლით დასრულდა

თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალის 42-ე კილომეტრზე, კასპის რაიონის სოფელ აღაიანთან, დასავლეთის მიმართულებით მოძრავი „მერსედესის“ მარკის ავტომანქანა ასფალტის თოვლიან საფარზე მოცურდა, გზიდან გადავიდა და ხეს შეეჯახა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შეჯახების შედეგად მძღოლი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ორმა მგზავრმა სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო. დაშავებულები კასპის რაიონულ საავადმყოფოში არიან გადაყვანილი.

მომხდართან დაკავშირებით, საქმე 276-ე მუხლის (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა) მეხუთე ნაწილით აღიძრა.

**ნიუსპრესი**

## ბიძინა ივანიშვილი მსოფლიო პატრიარქს შეხვდა



ბიძინა ივანშვილმა, სახელმწიფო კანცელარიაში, კონსტანტინეპოლისა და ახალი რომის მთავარეპისკოპოსი, მსოფლიო პატრიარქი, ბართლომეოს პირველი მიიღო.

დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში სერბეთის, ბულგარეთის, ალექსანდრიის, კონსტანტინოპოლის, რუსეთის, ჩეხეთის მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღოლები და მღვდელმთავრები შედიან, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესის და უნეტარესისი ილია მეორეს საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით ეწვია.

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილმა, საქართველოს მთავრობის სახელით, მსოფლიო პატრიარქს ვიზიტისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ქართველი ხალხისთვის კათოლიკოს-პატრიარქის იუბილე საყოველთაო ზეიმია.

კანცელარიაში გამართულ შეხვედრას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი ესწრებოდა.

**ნიუსპრესი**

# ვახტანგ ყოლბაია: „ახალი ხელისუფლება ნაციონალების ხრიკებს უნდა უფრთხილდეს“

თამარ ნინიძე

**„დემოკრატიული მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი ვახტანგ ყოლბაია მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები აუცილებელია, სხვა შემთხვევაში სააკაშვილი დაღუპავს ქვეყანას. „ახალი თაობა" ვახტანგ ყოლბაიას ესაუბრა.**

***— საპარლამენტო უმრავლესობა საკონსტიტუციო ცვლილებებს ამზადებს, რომლითაც პრეზიდენტს უფლებამოსილება ეზღუდება. როგორია თქვენი აზრი ამ ცვლილებებთან დაკავშირებით?***

— სააკაშვილის გადაწყვეტილება სამეგრელოში გუბერნატორის პოსტზე გუნავას დანიშვნაზე ბავშვობანას თამაშს მაგონებს. რადგან გუნავაზე აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე, რომელიც დახურული არ არის, სააკაშვილმა ის ამ ხელისუფლების ჯიბრზე დანიშნა ამ პოსტზე. მან შესანიშნავად იცის, რომ გუბერნატორად გუნავას არაფრის გაკეთება არ შეუძლია, სააკაშვილის იმედი, რომ ის ინვესტიციებს მოიზიდავს, ღიმილის მომგვრელია. სააკაშვილს სამეგრელოში ინვესტიციები რომ აწუხებდეს, ისეთ კანდიდატურას შეარჩევდა პრემიერ-მინისტრთან ერთად, რომელიც ამ რეგიონს რეალურად დაეხმარებოდა. ქვეყანაში არაჯანსაღ განწყობას ქმნის სააკაშვილი და ცუდ საქმეს აკეთებს, კაცი, რომელსაც უნდა, რომ ქვეყანა განვითარდეს, რეალობას თვალს გაუსწორებდა და რევანშიზმით კი არ იქნებოდა განწყობილი, არამედ ახალ ხელისუფლებას ხელს შეუწყობდა.

ჯანსაღი ოპოზიცია ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელია, მაგრამ ჩასაფრებული ოპოზიციის როლში ყოფნისა არ მესმის. ეს ვითარება რომ არ ყოფილიყო, ადამიანი მოითმენდა სააკაშვილს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე, მაგრამ ასე გაგრძელება სერიოზულ პრობლემებს ქმნის ქვეყნისთვის. კოჰაბიტაცია არ გამოდის იმიტომ, რომ ყველამ იცის სააკაშვილის ხასიათი, ერთს ფიქრობს და მეორეს აკეთებს. არაპროგნოზირებადია, არათანმიმდევრულია, არამდგრადი ხასიათისაა და ის ქვეყნის მმართველად საშიშია.

კონსტიტუციური ცვლილებები მოსალოდნელი იყო, თუნდაც დედაქალაქში პარლამენტის გადატანასთან დაკავშირებით. არასწორია შეხედულება, რომ ეს რეგიონის განვითარებას შეუწყობს ხელს, ორი სოსისი გაიყიდება თუ ნაყინი, ამით რეგიონი არ ვითარდება. ამხელა რეგიონს წყლის პრობლემა აქვს და საშინელი ანტისანიტარიაა. სამუშაო ადგილები უნდა შეიქმნას მრეწველობის განვითარებით და საშუალო ბიზნესის აღორძინებით. ინფრასტრუქტურას უნდა მიხედვა. 350 მილიონი დახარჯა სააკაშვილმა იმისათვის, რომ უვარგისი, არაპრაქტიკული პარლამენტის შენობა აეგო. ეს ცინიზმია. პარლამენტს უნდა მუშაობის ნორმალური პირობები, არ შეიძლება სტუმრების აქეთ-იქით ტარება, თბილისიდან ქუთაისში. თვითონ შექმნა სააკაშვილმა საკონსტიტუციო ცვლილებების აუცილებლობა თავისი ქმედებებით. საკონსტიტუციო ცვლილებები ეხება იუსტიციის საბჭოს. საზოგადოება ამჩნევს, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, კუბლაშვილის ხელშია მოქცეული მთელი ძალაუფლება და ის მართავს ერთპიროვნულად სასამართლო სისტემას. მოსამართლეები არ არიან ბოლომდე თავისუფალნი, ამიტომ საკონსტიტუციო ცვლილებები ამ საკითხსაც უნდა შეეხოს.

***— სააკაშვილის პრობლემის თავი და თავი ის არის, რომ კარგად ვერ გამიჯნა პრეზიდენტის მოვალეობები და ერთი პოლიტიკური ძალის მეთაურის მოვალეობები და ფუნქციები; კარგად არ ესმის, რას ნიშნავს იყო ქვეყნის პრეზიდენტი და ის, რომ ამავე დროს ოპოზიციური პარტიის ლიდერი ხარ, ეს პირველ რიგში ქვეყნის უქმნის პრობლემებს. ამიტომ იქცევა როგორც კონკურენტი პოლიტიკური ძალის ხელმძღვანელი.***

— გეთანხმებით, ეს მისი პრობლემაა, თუმცა ეს პრობლემა დღეს არ გასჩენია, წლების წინაც ზუსტად ასე იქცეოდა, შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, როცა სააკაშვილი მოქკავშირის თავმჯდომარე იყო, მაშინაც იდ-



გა საკითხი, რომ პრეზიდენტს არ უნდა ჰქონდეს რომელიმე პარტიის ლიდერობის ფუნქცია.

***— მახსოვს, ამ ინიციატივის ავტორი სოციალისტური პარტიის ლიდერი ვახტანგ რჩეულიშვილი იყო. სულ ცდილობდა, როგორმე შევარდნაძე მოქკავშირისთვის ჩამოეშორებინა, თანაც შევარდნაძეს პატივს სცემდა განსხვავებით მოქკავშირის ე.წ. რეფორმატორების ჯგუფისგან.***

— დიახ, სწორია, რომ პრეზიდენტი არ უნდა იყოს რომელიმე პარტიის ლიდერი, მით უმეტეს, ჩვენი მენტალობის მატარებელ ხალხში. არასოდეს ყოფილა სააკაშვილის რიტორიკა სხვა პარტიის ან სხვა ადამიანთა ჯგუფის მიმართ ისეთი, როგორიც უნდა ჰქონდეს პრეზიდენტს, ეს იყო ცინიკური და დამცინავი რიტორიკა, ის იყო ერთი ძალის უფროსი და მოიაზრებდა თავს მთელი ქვეყნის უფროსად. ის ღელავს იმის გამო, რომ მას ამის შესაძლებლობა მოაკლდა და რეალურად ვეღარ მართავს ქვეყანას. თუკი გუნავას მიმართ იქნება აღძრული სისხლის სამართლის საქმე, სააკაშვილი და მისი ნაცმოძრაობა ამას მიიჩნევს, როგორც ზეწოლას პოლიტიკურ ფიგურაზე, ამისთვის დასჭირდა სააკაშვილს გუნავას დანიშვნა ამ პოსტზე.

ახალ ხელისუფლებას ბოლომდე არა აქვს გააზრებული ამ გუნდის მიერ დადგმული ხრიკების საფრთხე. ეს იყო ის ხელისუფლება, რომელმაც დადგა გენერალ ჩაბანზე ზეწოლა და განმუხურთან სააკაშვილის შევარდნა რუსულ შენაერთებთან, რუსების შემოჭრა ვინც დადგა საქართველოში „მოდელირებული ქრონიკით;“ ეს იყო ხელისუფლება, რომელიც ახლაც ყველაფერზე წამსვლელია. ახალმა ხელისუფლებამ უნდა წინმსწრებად განჭვრიტოს, რას რა შედეგი მოჰყვება და ფრთხილად იმოქმედოს, რომ ნაცმოძრაობას ოდნავადაც არ მისცეს კრიტიკის საბაბი. მე ვეთანხმები ბატონი ბიძინას ინიციატივას თანამდებობის პირების ამნისტიის შესახებ, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზოგიერთი დაბალი რგოლის წარმომადგენელს მძიმე დანაშაულიც აქვს ჩადენილი, მაგალითად, მიტინგების სასტიკად დარბევა. გახსოვთ, როგორ აიტანეს მიცვალებულები მაღაზიის სახურავზე 26 მაისს, ჩვენი პარტიის წევრს თვალი პოლიციელმა ამოსთხარა, მისთვის ხომ კონკრეტულად არავის დაუვალებია თვალი ამოსთხარეო, ის სასტიკად მოქმედებდა და ასეთ დაბალ რგოლს, ბუნებრივია, ეს ამნისტია არ უნდა შეეხოს. თუმცა იმედი მაქვს, რომ ახალი ხელისუფლება გამოიძიებს 26 მაისის მოვლენებს და დამნაშავეებიც გამოვლინდებიან.

***— თქვენ იმას გულისხმობთ, რომ ჯერ კიდევ არიან დაბალ რგოლებში ნაცმოძრაობის მხარდამჭერები და მათგან არ არის გაწმენდილი მათ შორის ძალოვანი ორგანოები?***

— დიახ, ზუსტად ამას ვგულისხმობ, სურვილი გვაქვს, ეს პროცესი შეუქცევადი გახდეს. ვაცნობიერებთ იმას, რომ პატიოსანი ადამიანები მუშაობენ ამ სტრუქტურებში, მაგრამ ამავე დროს ვხედავთ საბოტაჟის ნიშნებს, რაც გვაშფოთებს. დამნაშავეებმა უნდ აგონ პასუხი, სამართალი სხვაგვარად ვერ აღდგება.

# ილია II-ს იუბილე პუტინმაც მიულოცა

შორენა გონგლაძე

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს მისი აღსაყდრებიდან 35 წლისთავს, ასევე 80 წლის იუბილეს ულოცავს და მისთვის გაგზავნილ წერილში აცხადებს, რომ ღრმად აფასებს მის „თბილ ურთიერთობებს“ რუსეთთან.

„თქვენი მრავალწლიანი საპასუხისმგებლო მისია საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის – ქრისტიანული მსოფლიოს ერთ-ერთი ძირძველი მართლმადიდებლური ეკლესიის – წინამძღვრად წარმოადგენს თავდადებული სასულიერო მსახურების მაგალითს“, – ნათქვამია პუტინის მისალოც წერილში, – „ეკლესიისა და სამშობლოსათვის დაუღალავი შრომის წლებში თქვენ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეთ საქართველოში მართლმადიდებლობის გაძლიერებაში, ქართველ საზოგადოებაში მარადიული ზნეობრივი ფასეულობების დამკვიდრებაში“.



„ღრმად ვაფასებთ რუსეთთან, რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიასთან თქვენს თბილ ურთიერთობებს.

თქვენი პირადი ძალისხმევა, მოწოდებები მშვიდობისკენ, სიყვარულისკენ, შემოქმედებითობისკენ, თანხმობისა და ერთობისკენ დიდად უწყობდა ხელს მეგობრობისა და ურთიერთგაგების მრავალსაუკუნოვანი კავშირების შენარჩუნებას ჩვენს ერებს შორის ისტორიის რთულ ეტაპებზე“, – ნათქვამია წერილში, რომელიც 11 იანვარს კრემლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა

„„დარწმუნებული ვარ, რომ ნაყოფიერი სასულიერო, კულტურული, ჰუმანიტარული დიალოგი საიმედო საფუძველი გახდება რუსეთსა და საქართველოს შორის შემდგომი ურთიერთობების განვითარებისთვის“, – აცხადებს პუტინი და პატრიარქს „ჯანმრთელობას და კეთილდღეობას“ უსურვებს. ლონისძიებები დაახლოებით ერთი კვირით უსწრებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსკოვში ვიზიტს, სადაც ილია მეორე 21 იანვარს დაგეგმილ ცერემონიაზე რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მართლმადიდებელ ხალხთა ერთობის საერთაშორისო ფონდის ჯილდოს მიიღებს.

მართლმადიდებელ ხალხთა ერთობის საერთაშორისო ფონდი ყოველწლიურად აჯილდოვებს პოლიტიკურ და რელიგიურ ლიდერებს, ასევე საზოგადო მოღვაწეებს „მართლმადიდებელი ქრისტიანი ერების ერთობის გაძლიერების“ საქმეში შეტანილი წვლილისთვის. დაჯილდოების ცერემონია მოსკოვის მაცხოვრის ტაძარში იმართება.

# ალი ბაბაევი: „პოლიტპატიმართა სიაში ვარ!“

შორენა გონგლაძე

## ინტერვიუ ორგანიზაცია „საქართველო ჩემი სამშობლოა“ ხელმძღვანელ ალი ბაბაევთან

***— ბატონო ალი, შეაფასეთ არჩევნების შემდგომ ქვეყანაში მიმდინარე პროცესები, როგორ უყურებს ამ ყველაფერს აზერბაიჯანელი ხალხი?***



— მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებამდე ძალიან ბევრი პრობლემა იყო, ქართველმა ხალხმა და ბიძინა ივანიშვილმა გაიმარჯვა. რა თქმა უნდა, სააკაშვილის ცხრაწლიანი მიღვაწეობა ძალიან ძვირად დაუჯდა ქართველ ხალხს, ეს იყო კრიმინალური დაჯგუფება, რომელიც გასული წლის პირველ ოქტომბრამდე დათარეშობდა. ნაციონალები ყველა ოჯახში შევიდნენ და დაატერორეს, დაატერორეს ბიზნესი, პრესა და ასე შემდეგ. თუნდაც ის ფაქტი, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელზე აღარ ხდება აზერბაიჯანულად გადაცემის წაყვანა. ქარველ ხალხთან ერთად ანალოგიური ტერორის ქვეშ იყო აზერბაიჯანული მოსახლეობაც. დღეს ციხეებში ძალიან ბევრი აზერბაიჯანელი უკანონოდ იხდის სასჯელს.

***— პოლიტპატიმართა სიაში თუ არიან აზერბაიჯანელები?***

— პოლიტპატიმართა სიაში მოხვდა რამოდენიმე აზერბაიჯანელი და მათ შორის მეც ვარ უკანონობის მსხვერპლი, როცა ჩემი მეუღლე დააპატიმრეს და ასევე აზერბაიჯანული კონგრესი წამართვა კირკიტაძემ და ლილუაშვილმა. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ხდებოდა სააკაშვილის ხელშეწყობით, რასაც მე აუცილებლად გავასაჩივრებ. ამ ადამიანებმა ყველა უკანონობისთვის უნდა მიიღონ საკადრისი პასუხი. როდესაც ამბობენ, რომ იმ დამნაშავე ჩინოვნიკებს უნდა ეპატიოთ ის უამრავი დანაშაული, ჩვენ, ქართველ ხალხთან ერთად, აზერბაიჯანელი ხალხიც ვვგმობთ ასეთ რამეს. ჩვენი აზრით, არავითარ შემთხვევაში ასეთი მონანიება არ უნდა მოხდეს. დამნაშავემ უნდა აგოს კანონის წინაშე პასუხი. ცხრა წლის მანძილზე სააკაშვილის მთავრობის მიერ დატერორებული ოჯახები სამართლიანობის აღდგენას ითხოვენ და დღეს თუ ჩვენ მათ ეს დანაშაულებები ვაპატიეთ, ეს არასწორი იქნება. ჩემთვის, როგორც საქართველოს ერთ-ერთი მოქალაქისთვის, ასეთი რამ მიუღებელია. რაც ჩემმა ოჯახმა განიცადა, როდესაც მუქარით ხელი მომაწერინეს, მემუქრებოდნენ, ან შენი ცოლი, ან კონგრესიო, ეს როგორ უნდა ვაპატიო ასეთ ადამიანს. ეს ადამიანები არიან ტერორისტები, ქვეყნის დამაქცევრები და მათ აუცილებლად უნდა მიიღონ საკადრისი.

***— აზერბაიჯანელებს ძირითადად მიწასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ, ამ კუთხით თუ არის პროგრესი?***

— წინა ხელისუფლებამ აზერბაიჯანელი მოსახლეობა მიწების გარეშე დატოვა, ეს არის ერთადერთი, რითიც აზერბაიჯანელები არსებობენ და ეს საარსებო საშუალებაც აღარ აქვთ. ხალხს ჩამოართვეს იჯარით აღებული მიწები და ირანელებსა და ჩინელებზე გაყიდეს. ძალიან ბევრი საჩივარია სასამართლოში შესული. მაგალითად, ჰუსეინ იუსუპოვზე, მან თავისი გამგებლობის დროს აიღო ხალხისგან ფული და უკან აღარ დაუბრუნა. ბევრმა საქართველოც კი დატოვა, იმდენად იყვნენ შევიწროებულნი. მიწის საკითხთან დაკავშირებით ძალიან დიდი ბრძოლა მიდის დღემდე, ამ საკითხს არ დავთმობთ, ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ, რომ სამართლიანობა აღდგეს. აზერბაიჯანელ ხალხს დიდი იმედი აქვთ ბიძინა ივანიშვილის და მისი გუნდის, რომ მოხდება სამართლიანობის აღდგენა. ხალხი სამართლიანობის აღდგენის მოლოდინშია და დამნაშავეებს თუ არ მოეთხოვათ პასუხი, ხალხი ძალიან უკმაყოფილო დარჩება ამ ხელისუფლების მიმართ. ჩვენ დიდი მოლოდინი გვაქვს, როდესაც დამთავრდება ორხელისუფლებიანობა საქართველოში და უფრო მეტიც, გაკეთების შესაძლებლობა ექნება ახალ ხელისუფლებას. ასეთ მოკლე დროში ამაზე მეტის გაკეთება არ შეიძლებოდა, მით უმეტეს, იმ პირობებში, როდესაც ნაციონალებს კიდევ ბევრი საყრდენი და ბერკეტი აქვთ. დაგეგმილია პენსიის მომატება, ცვლილებები ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხებში, განათლების სფეროში, სოფლის მეურნეობაში. ასე რომ, სამომავლოდ ნამდვილად დიდი იმედები არსებობს. ძალიან ბევრი აზერბაიჯანელი, რომელმაც მართლად დიდი შრომა ჩადო და იბრძოლა ახალი ხელისუფლებისათვის, მე ვფიქრობ, რომ ამ ადამიანებს უნდა დაუფასდეთ ის ბრძოლა. ეს ადამიანები დღემდე სამუშაოს გარეშე ულუკმაპუროდ არიან და იმედი მაქვს, რომ ჩვენი ხელისუფლება ამ ყველაფერს გაითვალისწინებს და უყურადღებოდ არ დატოვებს აზერბაიჯანელ ხალხს.

***— როგორ უნდა მოხდეს აზერბაიჯანელი ხალხის ინტეგრაცია, როგორ ფიქრობთ, რა არის ამისათვის საჭირო?***

— ინტეგრაციის საკითხებში აქტიურად უნდა ჩაერთოს მთელი ქართველი საზოგადოება. ინტეგრაციაზე ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ, მაგრამ რეალურად არაფერი კეთდება. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ახალ ხელისუფლებაში გამოჩნდებიან ადამიანები, ვინც დაინტერესდებიან აზერბაიჯანელი ხალხის ინტეგრაციით ქართველ საზოგადოებაში. აზერბაიჯანელ ხალხს უნდა მიეცეს საშუალება აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქართული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში. მე ვფიქრობ, რომ ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნილება უნდა იყოს ქართული ენის ცოდნა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადამიანი არის დასაქმებული სახელმწიფო სტრუქტურაში. მე ვფიქრობ, რომ ამას აუცილებლად მიაქცევს ყურადღებას ახალი ხელისუფლება.-

# ყოფილი დეპუტატები მერიამ დაასაქმა

შორენა გონგლაძე

ნაციონალურ მოძრაობას, გარდა იმისა, რომ აგერ უკვე სამი თვეა მუდმივად თავდაცვის რეჟიმში უხდება ყოფნა, კიდევ ერთი პრობლემა დაემატა. ეს არის ნაციონალური მოძრაობის ერთგული წევრების დასაქმების საკითხი. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ დასაქმების სამინისტრო ყოველ წუთს ლიკვიდაციის გამოცხადებას ელოდება, მთელი საკითხის სიმწვავე დედაქალაქის თავკაცს დააწვა. ფაქტია, რომ უმუშევრად დარჩენილი ნაციონალების დასაქმება მხოლოდ დედაქალაქის მერიის შიდა რესურსებით უნდა მოხდეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი აბსოლუტურად მშვიდად და ყოველგვარი ხმაურის გარეშე მიდიოდა, ინფორმაციამ მაინც გაჟონა და შესაბამისი რეაქციაც მოჰყვა.

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „თავისუფლების“ თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი თბილისის მერს მერიის დაქვემდებარებაში არსებულ შპს-ებში ნაციონალური მოძრაობის ლიდერების დასაქმებაში ადანაშაულებს.

როგორც დეპუტატმა საკრებულოში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მას გააჩნია იმის დამადასტურებელი საბუთები, რომ მერიის დაქვემდებარებაში მყოფ შპს-ებისთვის, როგორიცაა: „სინათლის ქალაქი“, „ჰერმესი“, „თბილსერვისი“ და „თბილისის სატრანსპორტო კომპანი“ შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭოები, რომელთა შემადგენლობაშიც არიან ყოფილი პარლამენტარები და მათი ოჯახის წევრები.

შიხიაშვილის ინფორმაციით, გასული წლის 23 ოქტომბერს მიღებული დადგენილებით შექმნილ სამსახურებში სულ 36 ადამიანია დასაქმებული, რომელთა ხელფასები 2500 ლარს შეადგენს.

მისივე თქმით, აღნიშნულ სამსახურებში დასაქმებულნი არიან გიორგი ასანიძე, აკაკი სეფერთელაძე, გოგა ნასარიძე, ლევან თარხნიშვილი, ხათუნა ოჩიაური, რუსუდან კერვალიშვილი და სხვები.

„მე არ ვიცი, რატომ უნდა იყვნენ საბჭოებში ისეთი ადამიანები, რომელთაც არ იციან ამ საქმიანობის სპეციფიკა; მაგალითად, კობა ხაბაზი და ვლადიმერ ვარძელაშვილი არ მიმაჩნია, რომ არიან გარე განათების სპეციალისტები. რუსუდან კერვალიშვილი კი, რომელიც „სატრანსპორტო კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრია, რომელი განათლების მიხედვით გახდა ამ საბჭოს წევრი. ასევე, „თბილსერვის ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოში მყოფი ხათუნა ოჩიაური დასუფთავების სპეციალისტი თუ იყო, ნამდვილად არ ვიცოდი. ცხადია, რომ თბილისის მერი ცდილობს, თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე დააბინაოს და დაასაქმოს ყოფილი მაღალჩინოსნები და მათი ოჯახის წევრები“, – განაცხადა ირაკლი შიხიაშვილმა. მისივე თქმით, საკამათო საკითხია ასევე, სჭირდებოდა თუ არა აღნიშნულ შპს-ებს სამეთვალყურეო საბჭოები.

# ვინ გაფლანგა საბავშვო თეატრის ფინანსები?

## კომისიამ დასკვნა დადო



ეკა ირემაშვილი

თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრის მმართველად რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი დაინიშნა. მან რეჟისორ მიხეილ ანთაძის ადგილი დაიკავა, რომელიც კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ 31 დეკემბერს თანამდებობიდან გაათავისუფლა. თავის მხრივ გათავისუფლებულმა მიხეილ ანთაძემ სარჩელი სასამართლოში შეიტანა და პოლიტიკური ნიშნით დევნაზე ალაპარაკდა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანებით შექმნილი თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრის საქმიანობის შემსწავლელი კომისიის დასკვნის შესაბამისად, ამავე თეატრის მმართველის მიხეილ ანთაძის ქმედებები რიგ შემთხვევებში კანონსაწინააღმდეგოდ შეფასდა. მმართველი თვითნებურად, არამიზნობრივად, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეუთანხმებლად განკარგავდა თეატრის სახელფასო ფონდს. კულტურის სამინისტროდან გამოყოფილი თანხა სრულად არ ურიგდებოდათ საშტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამშრომლებს. მიხეილ ანთაძე აღნიშნულ საბიუჯეტო თანხებს, ბიუჯეტის შესახებ კანონის დარღვევით, უნაწილებდა ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალს, რომელთაც ჰონორარები და პრემიები უნდა მიეღოთ თეატრის მხოლოდ საკუთარი შემოსავლებიდან, იჯარებიდან, ბილეთებისა და აბონემენტების რეალიზაციიდან. კომისიის დასკვნის თანახმად, თეატრის ხელმძღვანელობის მხრიდან ადგილი ჰქონდა წლების განმავლობაში გადასახადების დამალვას, არ ხდებოდა ბილეთებიდან და აბონემენტებიდან მისაღები თანხების შემოსავლებში აღრიცხვა. მმართველს, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-8 მუხლის საწინააღმდეგოდ, თეატრში დასაქმებული ჰყავდა საკუთარი შვილები და ოჯახის წევრები.

კულტურის სამინისტროს მიერ შექმნილ სპეციალურ კომისიას ხელმძღვანელობდა დევი დევიძე, ხოლო მის შემადგენლობაში იყვნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შიდა აუდიტისა და მონიტორინგის მთავარი სპეციალისტები გიორგი ბაბუციძე და თამარ ხურციძე და სტრატეგიული მიმართულებებისა და პრიორიტეტების შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის წევრები ირაკლი ნოზაძე და ვაჟა ხმალაძე. კომისიას დაევალა თეატრის თანამშრომელთა საჩივრებში აღნიშნული ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური, სადადგმო-საშემსრულებლო და ადმინისტრაციული დარღვევების შესწავლა. კომისიამ საბოლოო დასკვნა დადო, სადაც თეატრის ყოფილი მმართველის მიხეილ ანთაძის დარღვევებზეა საუბარი.

30 ნოემბერს მინისტრის მიერ დამტკიცებული ბრძანებით 03/107 შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრის 2010, 2011 და 2012 წლის პირველი ნახევრის საქმიანობის შემსწავლელი კომისია, რომელსაც დაევალა აღნიშნულ პერიოდში თეატრის საქმიანობის შესწავლა. კომისიამ შემოწმებისას გამოიყენა შერჩევითი მეთოდი და დაადგინა, რომ შრომითი ხელშეკრულებები არასრულყოფილადაა გაფორმებული. ხელშეკრულებები არ არის დანომრილი, რიგ შემთხვევებში არ არის მითითებული მოქმედების ვადა და ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა, არასრულადაა შევსებული დასაქმებულის პირადი მონაცემები. არის შემთხვევები, როცა ხელშეკრულებები ცალმხრივადაა გაფორმებული და არ არის დასაქმებულის ხელმოწერა. ხელშეკრულებების თანახმად დასაქმებულთა ანაზღაურება ხორციელდება სხვადასხვა ფორმით: 2010 წელს 139 შემთხვევაში მსახიობის შრომითი ანაზღაურება განსაზღვრულია კონკრეტულად ყოველთვიურად. 15 შემთხვევაში მოწვეული მსახიობის შრომის ანაზღაურება ხორციელდება გამომუშავებით, დადგენილი სამსახიობო განაკვეთის მიხედვით. 35 შემთხვევაში ადმინისტრაციისა და 121 შემთხვევაში ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურება განსაზღვრულია ყოველთვიურად, ხელფასის სახით, რიგ შემთხვევაში გაყიდული ბილეთების შემოსავლის თანხიდან სხვადასხვა პროცენტების ოდენობით. 7 შემთხვევაში მოწვეული სპეციალისტების შრომის ანაზღაურება ხორციელდება აკორდულად ან ყოველთვიურად სრული თანხის მითითებით. 2011 წელს 14 შემთხვევაში მოწვეული სპეციალისტებისთვის შრომის ანაზღაურების სრული თანხაა დაფიქსირებული, რაც განხორციელებულია აკორდულად ან ყოველთვიურად. 5 შემთხვევაში გაყიდული ბილეთების შემოსავლის თანხიდან სხვადასხვა პროცენტული განაკვეთის მიხედვით. ერთ შემთხვევაში 2011 წლის პირველ იანვარს რეჟისორ გიორგი თავაძესთან 5 თვის ვადით გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული არ არის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა. დასაქმებული მსახიობებიდან 76 შემთხვევაში დაფიქსირებულია ასანაზღაურებელი ყოველთვიური თანხა, 10 შემთხვევაში მითითებულია ანაზღაურება გამომუშავების მიხედვით, დადგენილი სამსახიობო განაკვეთის მიხედვით. სხვადასხვა მომსახურე და ტექნიკური პერსონალის ანაზღაურება 110 შემთხვევაში დაფიქსირებულია ხელფასის სახით. 2012 წელს დასაქმებული მსახიობების ანაზღაურება 41 შემთხვევაში დაფიქსირებულია ხელფასის სახით, 9 შემთხვევაში გამომუშავების თანახმად. სხვადასხვა მომსახურე და ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებულია 193 ხელშეკრულება, სადაც მითითებულია ანაზღაურების ოდენობა ხელფასის სახით. მათ შორის დასაქმებულ მხატვრებთან და კომპოზიტორებთან დადებულ ხელშეკრულებებში რიგ შემთხვევებში მითითებულია კონკრეტული თანხა, რიგ შემთხვევაში გაყიდული ბილეთების შემოსავლის თანხიდან სხვადასხვა პროცენტის ოდენობა.

თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის ცენტრალური საბავშვო თეატრის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ცენტრალური ბიუჯეტი, ასევე თეატრს გააჩნია სხვა შემოსავლები, კერძოდ ბილეთების, აბონემენტების რეალიზაციის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები, ასევე 2010-11 წლებში შემწეობების სახით საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუდან" მიღებული შემოსავლები. თეატრის ყოფილი მმართველი მიხეილ ანთაძე „ქართუსგან" ყოველთვიურად იღებდა შემწეობას 950 ლარის ოდენობით, რაც წელიწადში 11.400 ლარს შეადგენს. მისი მოადგილეები ნინო პავლიაშვილი და გიორგი ხვადაგიანი ყოველთვიურად იღებდნენ შემწეობას 800 ლარის ოდენობით, რაც ყოველწლიურად შეადგენდა 9.600 ლარს. მაქსიმალური შემწეობა „ქართუსგან" 950 ლარი იყო, ხოლო მინიმალური – 100 ლარი. 2010 წელს ფონდ „ქართუდან" მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 668,5 ათასი ლარი, ხოლო 2011 წელს 664,9 ათასი ლარი. 2012 წელს თეატრს ფონდისთვის არ მიუმართავს და შესაბამისად მისგან დაფინანსება არ მიუღია. 2010 წლის თეატრის დამტკიცებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 750.000 ლარი. თეატრის 2010 წლის საშტატო განრიგი დამტკიცებულია მმართველის მიერ და შეთანხმებულია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან.

მმართველის 2009 წლის 31 დეკემბრის №1 ბრძანებით 2010 წლის პირველი იანვრიდან თეატრის ადმინისტარციულ-ტექნიკური პერსონალის პირად შემადგენლობას გაუფორმდათ შრომითი ხელშეკრულებები 6 თვით და განისაზღვრა მათი შრომითი ანაზღაურება. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თეატრის მიერ დამტკიცებული და სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგი გათვლილია 174 ერთეულზე, ხოლო თეატრის მმართველის ზემოთ აღნიშნული ბრძანებით თანამშრომელთა საერთო რიცხოვნობა მნიშვნელოვნად აღემატება დამტკიცებულს და შეადგენს 241 ერთეულს, ანუ 67 ერთეულით მეტს. დამტკიცებული და სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგით თეატრის მსახიობების რიცხოვნობა განისაზღვრა 56 ერთეულით, ხოლო ბრძანებით შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებულია 91 ერთეულზე, რაც 35 ერთეულით მეტია. კონსულტანტების რიცხოვნობა დამტკიცებული საშტატო განრიგით განისაზღვრა 3 ერთეულით, ბრძანებით შრომითი ხელშეკრულება გაფორმებულია 8 ერთეულზე. განათების საამქროს თანამშრომელთა დამტკიცებული საშტატო რიცხოვნობა განსაზღვრულია 5 ერთეულით, ბრძანებით გაფორმებულია 8 ერთეული. ამ ყველაფერმა გამოიწვია დამტკიცებულ და ბრძანებით გაფორმებულ თანამშრომელთა თანამდებობრივ სარგოებს შორის სხვაობა. თეატრის მმართველის მიერ დამტკიცებული და სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგით თითოეული მსახიობის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 425 ლარის ოდენობით, ბრძანებით კი ზოგიერთის ხელფასი განსაზღვრულია 500, 300, 250, 200 და 100 ლარის ოდენობით. განათების საამქროს თანამშრომელთა სარგო შეადგენს 250 ლარს, ბრძანებით კი განისაზღვრა 300, 200 და 150 ლარით.

მმართველის 2011 წლის პირველი იანვრის 1/1 ბრძანებით თეატრის პერსონალურ შემადგენლობას გაუფორმდა შრომითი ხელშეკრულებები, შესაბამისი ყოველთვიური ანაზღაურებით. ბრძანებაში მითითებული არ არის, თუ რა ვადით არიან აყვანილი თეატრის თანამშრომლები. ისევე როგორც წინა წელს, თეატრის მიერ დამტკიცებული და სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგი გათვლილია 174 საშტატო ერთეულზე, ხოლო თეატრის მმართველის ამ ბრძანებით თანამშრომელთა საერთო რიცხოვნობა მნიშვნელოვნად აღემატება დამტკიცებულს და შეადგენს 241 ერთეულს. 2011 წლის პირველი ივლისის ბრძანებულებით თეატრში შეიქმნა შიდა რეოგანიზაციის განმახორციელებელი მთავარი ბორდი, რომელთაც ორი თვით გაუგრძელდათ ხელშეკრულებების ვადა. აღნიშნულ ბრძანებაში მითითებული არ არის თანამდებობრივი სარგო. რეორგანიზაციიდან გამომდინარე, შეიცვალა თეატრის საშტატო განრიგიც, რომელიც განისაზღვრება 90 ერთეულით და დამტკიცებულია, თუმცა თეატრის მმართველის პირველი სექტემბრის ბრძანებით სხვადასხვა ვადით ხელშეკრულებები გაუფორმდა არა 90 საშტატო ერთეულს, არამედ 237 თანამშრომელს, რამაც გამოიწვია დამტკიცებულ თანამდებობრივ სარგოებში ცვლილებები, რაც სამინისტროსთან არ შეთანხმებულა.

თეატრის 2012 წლის საშტატო განრიგი დამტკიცებულია 213 საშტატო ერთეულზე და შეთანხმებულია სამინისტროსთან. თეატრის მმართველის 2011 წლის 31 დეკემბრის 1/58 ბრძანებებით პერსონალზე შრომითი ხელშეკრულებები გაუფორმებელია 6 თვის ვადით. როგორც წინა წლებში, მიმდინარე წლის დარღვევები ანალოგიურ ხასიათს ატარებს. თეატრის მიერ დამტკიცებული და სამინისტროსთან შეთანხმებული საშტატო განრიგი გათვლილია 213 ერთეულზე, მაშინ, როცა თეატრის მმართველის ზემოთ აღნიშნული ბრძანებით თანამშრომელთა საერთო რაოდენობამ 247 ერთეული შეადგინა.

სპეციალური კომისიისთვის განკუთვნილ შესამოწმებელ პერიოდში თეატრის მმართველის მიერ გამოცემული ბრძანებები რომელიც ეხებოდა ადმინისტრაციულ ტექნიკური პერსონალის რაოდენობისა და თანამდებობრივი სარგოების ცვლილებებს სამინისტროსთან შეთანხმებული არ ყოფილა. ამ ქმედებით დარღვეულია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" კანონის მე-12 მუხლის მოთხოვნები.

თეატრის 2010 წლის საბიუჯეტო თანხა განისაზღვრა 750.00 ლარით, 2011 წლის – 650.000 ლარით, ხოლო 2012 წლის 6 თვის დაფინანსებამ 830.000 ლარი შეადგინა. თეატრში ადგილი აქვს საბიუჯეტო დაფინანსებიდან შტატგარეშე თანამშრომლების სახელფასო და საჰონორარო ანაზღაურების გასტუმრებას და წინა წლებში დაგროვილი დავალიანებების გასტუმრებას, რომელიც საკუთარი შემოსავლების ხარჯზე უნდა მომხდარიყო. 2010 წლის იანვარში 297 თანამშრომელზე გაცემულია 69.839,75 ლარი 2009 წლის დეკემბრის ხელფასი, პრემიის სახით. თებერვლის და მარტის თვეებში 12 და 4 თანამშრომელზე გაცემულია 2009 წლის ნოემბრის თვის ხელფასი 2.657,4 და 976 ლარის ოდენობით. 2010 წლის აპრილის თვეში პრემიის სახით 267 თანამშრომელზე გაცემულია მარტის თვის ხელფასი 57.038,25 ლარის ოდენობით, ამავე თვეში გაიცა 2009 წლის ნოემბრის ხელფასი 390,4 ლარი. მთლიანობაში 2009 წლის ნოემბრის თვის ხელფასი გაცემულია მაისში – 2.137,52 ლარი, ივნისში – 454,5 ლარი, ივლისში – 99,0 ლარი, ნოემბერში – 22.832,5 ლარი და დეკემბერში – 12.802 ლარი, რითაც დარღვეულია „ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის მეშვიდე თავის მე-20 მუხლის მოთხოვნები. თეატრში 2010 წელს დამოუკიდებელი აუდიტორიული კომპანიის „კომპაუდის" მიერ ჩატარებული აუდიტის დასკვნაში მითითებულია, რომ თეატრს 2011 წლის პირველი იანვრისთვის დღგ-ს ნაწილში საბიუჯეტო დავალიანებამ 89.900 ლარი შეადგინა, რომელიც წარმოშობილია 2008-10 წლებში. ამ პრობლემის მოსაგვარებლად თეატრის მმართველმა მიმართა შემოსავლების სამსახურს და გაფორმდა საგადასახადო შეთანხმება, რითაც თეატრის დავალიანება შემცირდა 10.000 ლარამდე.

დასკვნის მიხედვით ცნობილი ხდება, რომ თეატრი ძირითადად ახდენდა 9, 12, 16 ლარიანი აბონემენტების და 5 ლარიანი ბილეთების რეალიზაციას. 2010-11 წლის სეზონზე გაიყიდა 847 ცალი 16 ლარიანი აბონემენტი, 15.256 ცალი 12 ლარიანი აბონემენტი და 59 ცალი 9 ლარიანი აბონემენტი. მიუხედავად იმისა, რომ თეატრს სტამბიდან მიღებული აქვს უფასო მოსაწვევები, რომელსაც იყენებდა სპექტაკლებზე, წინასაპრემიერო, წიგნებისა თუ ჟურნალების პრეზენტაციებზე დასასწრებად, საჩუქრად გაცემული აქვს 1.144 ცალი აბონემენტი საშუალო ღირებულებით 13.728 ლარი. 2011-12 წლებში სეზონზე გაყიდულია 7.838 ცალი 12 ლარიანი, 2.416 ცალი – 10 ლარიანი და 765 ცალი 9 ლარიანი აბონემენტები. საჩუქრის სახით გაცემულია 1.093 აბონემენტი, რომლის ღირებულებაა 13.116 ლარი. ორივე სეზონზე საჩუქრად გაცემულია 26.844 ლარის აბონემენტები. საგადასახადო კოდექსით ეს თანხა ნაჩვენები უნდა იყოს შემოსავალში და დაბეგრილი შესაბამისი გადასახადებით. შესამოწმებელ პერიოდში გაცემულია 275 ცალი უფასო მოსაწვევი, იმ პერიოდში ბილეთი 5 ლარი ღირდა. საგადასახადო კოდექსით 1.375 ლარი ნაჩვენები უნდა იყოს შემოსავალში და დაბეგრილი შესაბამისი გადასახადებით. 2010 წლის პირველი იანვრისთვის სპექტაკლზე დასასწრები ბილეთების ნაშთმა საწყობში შეადგინა 1.446 ცალი. სულ შესამოწმებელ პერიოდში სტამბიდან მიღებული აქვს 19.366 ბილეთი (ბილეთის რეალიზაცია ხდებოდა 5 ლარად). თეატრის ბუღალტრული მონაცემებით, გაყიდული ბილეთების რაოდენობამ 2012 წლის დეკემბრამდე შეადგინა 19.850 ცალი. ამ პერიოდში ნაშთის გათვალისწინებით გამოვლინდა 864 ბილეთის დანაკლისი, რაც 4.320 ლარია. შესამოწმებელ პერიოდში ბილეთები არც დაკარგულა და არც დაზიანებულა, რასაც ადასტურებს თეატრის ყოფილი მმართველი. თეატრს პოლიგრაფიულ მომსახურება უწევს „ტორი პლუსი", სადაც კულტურის სამინისტროდან გაგზავნილ იქნა წერილი, რომლითაც მოთხოვნილი იყო ბოლო სამი წლის განმავლობაში საბავშვო თეატრზე პოლიგრაფიულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების ქსეროასლები. მიღებული დოკუმენტაცია შედარებულ იქნა საბავშვო თეატრის ბუღალტერიაში საწყობში არსებულ დოკუმენტებს, აღმოჩნდა, რომ 2011 წლის 9 მარტის საგადასახადო ანგარიშფაქტურით მიღებულია 7.200 ბილეთი, რომელიც ბუღალტერიაში აღრიცხული არ არის. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე ხელს აწერს თეატრის მმართველის მძღოლი და განმარტავს, რომ 7.200 ბილეთი მიტანილ იქნა თეატრის ბუღალტერიაში, თეატრის ბუღალტერი კი განმარტავს, რომ არც ბილეთები უნახავს და არც საგადასახადო ანგარიშფაქტურა. შემდგომში თეატრის ადმინისტრაციის მიერ მოიძებნა დოკუმენტები და ბილეთები, რომელიც ადმინისტრაციის განმარტებით დაბეჭდილი იყო ჯგუფი „მგზავრების" და საბავშვო თეატრის ერთობლივი ღონისძიებებისთვის, თუმცა „მგზავრებთან" ხელშეკრულება ვერ მოიძებნა. მიხეილ ანთაძე სამინისტროსთვის გაგზავნილ სპეციალურ ცნობაში განმარტავს, რომ „2011 წლის მარტში მოზარდ მაყურებელმა თეატრმა „მგზავრებთან" ერთად წამოიწყო პროექტი „ერთმანეთისთვის", რომელიც ითვალისწინებდა „მგზავრების" მიერ ამ თეატრში კონცერტების ჩატარებას. დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები, თეატრმა დაბეჭდა პლაკატები და სპეციალური ბილეთები, „მგზავრებმა" ჩაატარეს ორი რეპეტიცია და გადაიხადეს მომსახურების 528 ლარი. აპრილის თვეში ბილეთები არ გაიყიდა, დაგეგმილი კონცერტიც არ შედგა, ამიტომ არ გაფორმდა ხელშეკრულებაც, რომელშიც უნდა ასახულიყო პარტნიორი მხარეების მიერ გაწეული მოსამზადებელი საქმიანობის ხარჯები. „მგზავრების" პლაკატები და სპეციალური ბილეთები საწყობში იყო შეტანილი და არ იყო აღრიცხული, რის გამოც სტამბიდან მოწოდებული ცნობის ნიადაგზე ეს ბილეთები თქვენმა კომისიამ ჩათვალა თეატრის სპექტაკლის ბილეთებად, ამიტომ ბილეთების რაოდენობაში გაიპარა უზუსტობა, შესაბამისად ჩემი ცნობა იმის შესახებ, რომ „აღნიშნულ პერიოდში საქონელი სრულადაა აღებული შემოსავალში" არასწორია. ამჟამად აღნიშნული პროექტის სპეციალური ბილეთები 7.200 ცალი და პლაკატები ინახება საწყობში".

2011 წელს თეატრიდან გათავისუფლებულ იქნა მთავარი ბუღალტერი, რომელმაც არ გადააბარა ბუღალტრული და საწყობის ნაშთები მის თანამდებობაზე დანიშნულ პირს. ეს გადაბარება თეატრის მმართველის ბრძანების საფუძველზე უნდა მომხდარიყო. საყურადღებოა ისიც, რომ 2010-11 წლების სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია ჩატარებული არ არის.

კულტურის სამინისტროში შესულია თეატრის მმართველის წერილი, რომელზეც სამინისტროს იურიდიულმა დეპარტამენტმა წარმოადგინა მოხსენებითი ბარათი. მასში განმარტებულია, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მეორე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის თანახმად. კოდექსიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ექვემდებარება საჯარო სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის პრინციპებს. ადმინისტრაციული ორგანოს ძირითადი პრინციპებია მიუკერძოებლობის პრინციპი. „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მერვე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად „ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს თანამდებობის პირმა, რომელსაც აქვს პირადი ინტერესი, ან და არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საქმის გადაწყვეტაზე". აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ორგანოში თეატრის მმართველის, მისი შვილებისა და ოჯახის წევრების ერთობლივი საქმიანობა კანონსაწინააღმდეგოა და არ შეესაბამება მიუკერძოებლობის პრინციპის განვრცობითი განმარტების შინაარსს. მიხეილ ანთაძე კი განმარტავს, რომ: „საქმიანობის პროცესში ვხელმძღვანელობ „საქართველოს კანონი საჯარო სამსახურში შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" მიხედვით და არ დაგვირღვევია მისი მოთხოვნები. სარეკლამო სამსახურის უფროსი ნოდარ ანთაძე არის ჩემი შვილი და ცხოვრობს დამოუკიდებლად, მთავარი ადმინისტრატორი ანდრო ანთაძე არის ჩემი შვილი და ცხოვრობს დამოუკიდებლად, მთავარი რედაქტორი ნიკოლოზ ანთაძე არის ჩემი შვილი და ვცხოვრობთ ერთად. ამ კანონის მეოთხე მუხლის თანახმად, „ოჯახის წევრში" იგულისხმება მეუღლე, არასრულწლოვანი შვილი და გერი და მასთან მუდმივად მცხოვრები პირები. „ახლო ნათესავში" იგულისხმება ოჯახის წევრი, აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი, ძმა, და, გერი, მშობლის ან შვილის გერები. მსახიობი მაია ბარდაველიძე, რომელიც თეატრში მუშაობს 1981 წლიდან არის ჩემი მამიდაშვილი და არ მიეკუთვნება ახლო ნათესავებს, მმართველის მოადგილე გიორგი ხვადაგიანი არის ჩემი მეუღლის დის შვილი და არ მიეკუთვნება ახლო ნათესავებს, ხოლო უფროსი რედაქტორი მარინა გუნია თეატრმცოდნე არის ჩემი მეუღლის და, ცხოვრობს დამოუკიდებლად და არც ის მიეკუთვნება ახლო ნათესავებს".

# ინგლისში ლიდერთა ტურია



## ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12.01 | ქპრ-ტოტენჰემი | 4.0 | 3.75 | 1.85 |
| 12.01 | ნორვიჩი-ნიუკასლი | 2.2 | 3.5 | 3.1 |
| 12.01 | სანდერლენდი-ვესტ ჰემი | 2.3 | 3.2 | 3.2 |
| 12.01 | რედინგი-ვესტ ბრომვიჩი | 2.8 | 3.5 | 2.4 |
| 12.01 | ფულემი-უიგანი | 2.05 | 3.6 | 3.4 |
| 12.01 | სტოკი-ჩელსი | 3.8 | 3.4 | 2.0 |
| 12.01 | ასტონ ვილა-საუთჰემპტონი | 2.4 | 3.5 | 2.8 |
| 12.01 | ევერტონი-სუონსი | 1.55 | 4.0 | 6.0 |
| 13.01 | მანჩესტერი-ლივერპული | 1.95 | 3.75 | 3.6 |
| 13.01 | არსენალი-სიტი | 2.5 | 3.6 | 2.62 |

### ქპრ-ტოტენჰემი

ქპრ: ***ტრავმ***-ესტებან გრანერო, არმანდ ტრაორე, ჯუნიორ ჰოილეტი, ხოსე ბოსინგვა, ბობი ზამორა, ენდრიუ ჯონსონი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-უილიამ გალასი, იუნის ქაბული

### ნორვიჩი-ნიუკასლი

ნორვიჩი: ***ტრავმ***-ჯონი ჰაუსონი, სტივენ მორისონი, გრანტ ჰოლტი, სტივენ ვაიტაკერი, ენდრიუ სურმანი, ჯონ რუდი

ნიუკასლი: ***ტრავმ***-ფაბრიციო კოლოჩინი, პაპის სისე, ჯეიმს პერჩი, დანი სიმპსონი, ხონას გუტიერესი, ჰატემ ბენ არფა, სტივენ ტეილორი, იოან კაბაიე, რაიან ტეილორი

### სანდერლენდი-ვესტ ჰემი

სანდერლენდი: ***ტრავმ***-დანი როუზი, კარლოს გუელარი, შტეფან სესინიონი, ჯონ ოში, ლი კატერმოლი, ვესლი ბრაუნი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-ჯო ობრაიენი, ჯორჯ მაკკარტნი, მოჰამედ დიამე, ენდი კეროლი

### რედინგი-ვესტ ბრომვიჩი

რედინგი: ***ტრავმ***-ჰალ რობსონკანუ, მიკელე ლეიგერტვუდი, კეისონ რობერტსი, ალექს მაკკარტნი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-ზოლტან გერა, სტივენ რიდი, იონას ოლსონი, გორან პოპოვი, კლაუდიო იაკობი

### ფულემი-უიგანი

ფულემი: ***ტრავმ***-იონ არნე რიისე, სტივენ კელი, დამიენ დაფი, მარკ შვარცერი, მლადენ პეტრიჩი, მაჰამადუ დიარა

უიგანი: ***ტრავმ***-ანტოლინ ალკარაზი, ადრიან ლოპესი, ბენ ვოტსონი

### სტოკი-ჩელსი

სტოკი: ***ტრავმ***-რორი დელაპი, მარკ უილსონი

ჩელსი: ***ტრავმ***-პეტრ ჩეხი, იოსი ბენაიუნი, ორიოლ რომეუ, ჯონ ტერი

### ასტონ ვილა-საუთჰემპტონი

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-მარკ ოლბრაიტონი, ეშლი ვესტვუდი, დარენ ბენტი, რონი ვლაარი, გარი გარდნერი, სტილიან პეტროვი

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-ხოსე ფონტე, გასტონ რამირესი, ნატანიელ კლინი, ადამ ლალანა

### ევერტონი-სუონსი

ევერტონი: ***ტრავმ***-ლეიტონ ბაინესი, ჯონ ჰეიტინგა, დარონ გიბსონი, ტონი ჰიბერტი, კევინ მირალასი

სუონსი: ***ტრავმ***-ნეილ ტეილორი

### მანჩესტერი-ლივერპული

მანჩესტერი: ***ტრავმ***-უეინ რუნი, ფილ ჯონსი, ანდერსონი, ნანი

ლივერპული: ***ტრავმ***-ხოსე ენრიკე, ფაბიო ბორინი, მარტინ კელი

### არსენალი-სიტი

არსენალი: ***ტრავმ***-ოლივიე ჟირუ, აბუ დიაბი, ანდრე სანტოსი, ლუკაშ ფაბიანსკი

სიტი: ***ტრავმ***-იაია ტურე, ერხიო აგუერო, მაიკონი, ალექსანდრ კოლაროვი, მიკა რიჩარდსი, ჯეკ როდველი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 21 | 17 | 1 | 3 | 54:28 | 52 |
| 2.სიტი | 21 | 13 | 6 | 2 | 41:19 | 45 |
| 3.ტოტენჰემი | 21 | 12 | 3 | 6 | 39:27 | 39 |
| 4.ჩელსი | 20 | 11 | 5 | 4 | 39:19 | 38 |
| 5.ევერტონი | 21 | 9 | 9 | 3 | 35:26 | 36 |
| 6.არსენალი | 20 | 9 | 7 | 4 | 40:22 | 34 |
| 7.ვესტ ბრომვიჩი | 21 | 10 | 3 | 8 | 29:27 | 33 |
| 8.ლივერპული | 21 | 8 | 7 | 6 | 34:26 | 31 |
| 9.სუონსი | 21 | 7 | 8 | 6 | 31:26 | 29 |
| 10.სტოკი | 21 | 6 | 11 | 4 | 21:20 | 29 |
| 11.ვესტ ჰემი | 20 | 7 | 5 | 8 | 24:24 | 26 |
| 12.ნორვიჩი | 21 | 6 | 7 | 8 | 24:34 | 25 |
| 13.ფულემი | 21 | 6 | 6 | 9 | 32:37 | 24 |
| 14.სანდერლენდი | 21 | 5 | 7 | 9 | 21:29 | 22 |
| 15.ნიუკასლი | 21 | 5 | 5 | 11 | 27:39 | 20 |
| 16.ასტონ ვილა | 21 | 4 | 7 | 10 | 17:41 | 19 |
| 17.საუთჰემპტონი | 20 | 4 | 6 | 10 | 27:38 | 18 |
| 18.უიგანი | 21 | 5 | 3 | 13 | 22:39 | 18 |
| 19.რედინგი | 21 | 2 | 7 | 12 | 23:40 | 13 |
| 20.ქპრ | 21 | 2 | 7 | 12 | 17:36 | 13 |

## ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12.01 | ვალიადოლიდი-მალიორკა | 2.0 | 3.4 | 3.75 |
| 12.01 | ესპანიოლი-სელტა | 2.2 | 3.3 | 3.3 |
| 12.01 | ოსასუნა-რეალი | 7.0 | 4.33 | 1.44 |
| 12.01 | ვალენსია-სევილია | 2.05 | 3.6 | 3.4 |
| 13.01 | ბეტისი-ლევანტე | 1.91 | 3.4 | 4.0 |
| 13.01 | სოსიედადი-დეპორტივო | 1.73 | 3.6 | 4.75 |
| 13.01 | ატლეტიკო-სარაგოსა | 1.3 | 5.25 | 9.5 |
| 13.01 | მალაგა-ბარსელონა | 7.5 | 4.5 | 1.4 |
| 14.01 | ხეტაფე-გრანადა | 1.8 | 3.5 | 4.5 |

### ვალიადოლიდი-მალიორკა

ვალიადოლიდი: ***ტრავმ***-ვიქტორ პერესი, მანუშო; ***დისკვ***-ხესუს რუედა

მალიორკა: ***ტრავმ***-ანტონიო ლოპესი, ჟოაო ვიქტორი

### ესპანიოლი-სელტა

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ვაკასო მუბარაქი, კრისტიან ალვარესი; დისკვ-ჰექტორ მორენო

სელტა: ***ტრავმ***-ანდრეს ტუნეცი, ჰუგო მალო, სამუელ ლორკა

### ოსასუნა-რეალი

ოსასუნა: ***ტრავმ***-რაულ ლოე, რობერტო ტორესი, ასიერ რიესგო, ანტონი ანანი, სისი მასუდ შოჯაიე

რეალი: ***ტრავმ***-პეპე, ხაბი ალონსო; ***დისკვ***-კრიშტიანუ რონალდუ, ანტონინ ადანი, სერხიო რამოსი

### ვალენსია-სევილია

ვალენსია: ***ტრავმ***-ფერნანდო გაგო

სევილია: ***ტრავმ***-პიოტრ ტროხოვსკი

### ბეტისი-ლევანტე

ბეტისი: ***ტრავმ***-ხოსე კანასი, ხუან კარლოსი, ალექს მარტინესი, ხოსე დორადო; ***დისკვ***-ბენუა

ლევანტე: ***ტრავმ***-ხოსე ბარკერო; ***დისკვ***-ვისენტე იბორა

### სოსიედადი-დეპორტივო

სოსიედადი: ***ტრავმ***-კლაუდიო ბრავო, კადამურო; დისკვ-ინიგო მარტინესი, მიკელ გონსალესი, დანიელ ესტრადა

დეპორტივო: ***ტრავმ***-ლაურე, აიოზე; დისკვ-აბელ აგილარი

### ატლეტიკო-სარაგოსა

ატლეტიკო: ***ტრავმ***-აბდელკადერ უოელასტი

სარაგოსა: ***ტრავმ***-რომარიკი, ივან ობრადოვიჩი; ***დისკვ***-ხოსე

### მალაგა-ბარსელონა

მალაგა: ***ტრავმ***-ჟულიო ბაპტისტა; ***დისკვ***-ხესუს გამესი

ბარსელონა: ***ტრავმ***-ადრიანო

### ხეტაფე-გრანადა

ხეტაფე: ***ტრავმ***-აბდელაზიზ ბარადა, მეჰდი ლაკენი, მანე, პედრო ლეონი; ***დისკვ***-მიჩელი, ხავი ტორესი

გრანადა: ***ტრავმ***-დანიელ ბენიტესი, დარვინ მარჩისი, იუსიფ ელ არაბი, ტონო; ***დისკვ***-ინიგო ლოპესი, ფრან რიკო

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 18 | 17 | 1 | 0 | 61:19 | 52 |
| 2.ატლეტიკო | 18 | 13 | 2 | 3 | 38:18 | 41 |
| 3.რეალი | 18 | 11 | 3 | 4 | 45:20 | 36 |
| 4.მალაგა | 18 | 9 | 4 | 5 | 28:13 | 31 |
| 5.ბეტისი | 18 | 10 | 1 | 7 | 28:29 | 31 |
| 6.ლევანტე | 18 | 9 | 3 | 6 | 24:25 | 30 |
| 7.რაიო | 18 | 9 | 1 | 8 | 25:33 | 28 |
| 8.ვალენსია | 18 | 8 | 3 | 7 | 25:27 | 27 |
| 9.სოსიედადი | 18 | 7 | 4 | 7 | 27:24 | 25 |
| 10.ხეტაფე | 18 | 7 | 3 | 8 | 24:26 | 24 |
| 11.ვალიადოლიდი | 18 | 6 | 4 | 8 | 24:24 | 22 |
| 12.სევილია | 18 | 6 | 4 | 8 | 23:26 | 22 |
| 13.სარაგოსა | 18 | 7 | 1 | 10 | 20:26 | 22 |
| 14.ბილბაო | 18 | 6 | 3 | 9 | 22:36 | 21 |
| 15.სელტა | 18 | 5 | 3 | 10 | 19:23 | 18 |
| 16.მალიორკა | 18 | 4 | 5 | 9 | 17:30 | 17 |
| 17.გრანადა | 18 | 4 | 4 | 10 | 14:27 | 16 |
| 18.ესპანიოლი | 18 | 3 | 6 | 9 | 19:30 | 15 |
| 19.დეპორტივო | 18 | 3 | 6 | 9 | 22:39 | 15 |
| 20.ოსასუნა | 18 | 3 | 5 | 10 | 14:20 | 14 |

## იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12.01 | ბოლონია-კიევო | 2.1 | 3.25 | 3.5 |
| 12.01 | ინტერი-პესკარა | 1.25 | 5.8 | 11.0 |
| 13.01 | ტორინო-სიენა | 2.25 | 3.2 | 3.3 |
| 13.01 | კატანია-რომა | 2.9 | 3.6 | 2.25 |
| 13.01 | უდინეზე-ფიორენტინა | 2.62 | 3.4 | 2.6 |
| 13.01 | პარმა-იუვენტუსი | 5.0 | 3.6 | 1.67 |
| 13.01 | კალიარი-ჯენოა | 2.1 | 3.25 | 3.5 |
| 13.01 | ლაციო-ატალანტა | 1.61 | 3.75 | 5.5 |
| 13.01 | ნაპოლი-პალერმო | 1.33 | 4.75 | 10.0 |
| 13.01 | სამპდორია-მილანი | 3.75 | 3.3 | 2.0 |

### ბოლონია-კიევო

ბოლონია: ***ტრავმ***-ჰენრი ხიმენესი, ჩეზარე ნატალი; ***დისკვ***-არჩიმედ მორლეო, ტიბერიო გუარენტე

კიევო: ***ტრავმ***-პერპარიმ ჰატემაი, მამადუ სამასა, ბუქარი დრამე, რინალდო კრუსადო; ***დისკვ***-დარიო დაინელი

### ინტერი-პესკარა

ინტერი: ***ტრავმ***-ვალტერ სამუელი, ვალტერ გარგანო, რიკარდო ალვარესი, იუტო ნაგატომო, ლუკა კასტელაცი, ვესლი სნეიდერი, გაბი მუდინგაი, ჯოელ ობი, დეიან სტანკოვიჩი; ***დისკვ***-ანდრეა რანოკია

პესკარა: ***ტრავმ***-სიმონე რომანოლი, ლუკა ლული, ჯანლუკა გაპრარი, ხუან ქინტერო, უროს კოსიჩი, მანუელ ბლაზი; ***დისკვ***-რომულო ტონი

### ტორინო-სიენა

ტორინო: ***ტრავმ***-მარიო სანტანა, ანჯელო ოგბონა; დისკვ-მატეო დარმიანი, ქამილ გლიკი, ალესანდრო გაცი, ჯუზეპე ვივესი, სალვატორე მასიელო

სიენა: ***ტრავმ***-არავინ; დისკვ-ანჯელო

### კატანია-რომა

კატანია: ***ტრავმ***-პაბლო ალვარესი, მარკო ბიაჯიანტი, ფაბიო სკიაცა; ***დისკვ***-ფრანსესკო ლოდი

რომა: ***ტრავმ***-პაბლო ოსვალდო, დოდო, ალესიო რომანოლი, ლეანდრო გასტანი, როდრიგო ტადეი; ***დისკვ***-მირალემ პიანიჩი

### უდინეზე-ფიორენტინა

უდინეზე: ***ტრავმ***-მატიას რანეგი, ემანუელ ბადუ, მეჰდი ბეთანია

ფიორენტინა: ***ტრავმ***-დავიდ პიზარო, მოუნირ ელ ჰამდაიუ; ***დისკვ***-რუბენ ოლივეირა

### პარმა-იუვენტუსი

პარმა: ***ტრავმ***-კრისიტან ძაკარდო, დანიელე გალოპა; ***დისკვ***-ალესანდრო ლუკარელი, იოან ბენალუანე

იუვენტუსი: ***ტრავმ***-კლაუდიო მარკიზიო, კვადვო ასამოა, ჯორჯო კიელინი, ნიკლას ბენდტნერი, სიმონე პეპე

### კალიარი-ჯენოა

კალიარი: ***ტრავმ***-სებასტიან ერიქსონი, ლორენცო არაუდო; ***დისკვ***-მიქელე აგაცი, ანდრეა კოსუ

ჯენოა: ***ტრავმ***-ხუან ვარგასი, ბოშკო იანკოვიჩი, ჩეზარე ბოვო, კრისტობალ ხორკერა, დამიანო ფერონეტი; ***დისკვ***-ჩირო იმობილე

### ლაციო-ატალანტა

ლაციო: ***ტრავმ***-ფედერიკო მარჩეტი, ოგენი ონაზი, ანდრე დიასი, ედერსონი

ატალანტა: ***ტრავმ***-ჯანპაოლო ბელინი, სტეფანო ლუჩინი, ადრიანო პინტუ

### ნაპოლი-პალერმო

ნაპოლი: ***ტრავმ***-ლეანდრო რინაუდო; დისკვ-ჯანლუკა გრავა, პაოლო კანავარო

პალერმო: ***ტრავმ***-ფაბრიციო მიკოლი, მასიმო დონატი, ანდრეა მანტოვანი, აბელ ჰერნანდესი; იოსიპ ილიჩიჩი

### სამპდორია-მილანი

სამპდორია: ***ტრავმ***-ნიკოლას პოცი, ენცო მარესკა, მაქსილოპესი; დისკვ-გაეტანო ბერარდი

მილანი: ***ტრავმ***-კევინ კონსტანტი, მასიმო ამბროზინი, რობინიო, სალი მუნტარი, კრისტიან ზაპატა, დანიელე ბონერა, მარიო იეპესი, ჯამელ მესბანაიჯელ დე იონგი; ***დისკვ***-ჯანპაოლო პაცინი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 19 | 14 | 2 | 3 | 40:13 | 44 |
| 2.ლაციო | 19 | 12 | 3 | 4 | 28:19 | 39 |
| 3.ფიორენტინა | 19 | 10 | 5 | 4 | 36:21 | 35 |
| 4.ინტერი | 19 | 11 | 2 | 6 | 30:22 | 35 |
| 5.ნაპოლი | 19 | 12 | 3 | 4 | 37:18 | 37 |
| 6.რომა | 19 | 10 | 2 | 7 | 43:33 | 32 |
| 7.მილანი | 19 | 9 | 3 | 7 | 36:27 | 30 |
| 8.პარმა | 19 | 8 | 5 | 6 | 27:25 | 29 |
| 9.უდინეზე | 19 | 6 | 9 | 4 | 29:26 | 27 |
| 10.კატანია | 19 | 7 | 5 | 7 | 26:27 | 26 |
| 11.კიევო | 19 | 7 | 3 | 9 | 21:29 | 24 |
| 12.ატალანტა | 19 | 7 | 3 | 9 | 18:28 | 22 |
| 13.ტორინო | 19 | 4 | 9 | 6 | 20:22 | 20 |
| 14.სამპდორია | 19 | 6 | 3 | 10 | 22:28 | 20 |
| 15.პესკარა | 19 | 6 | 2 | 11 | 17:35 | 20 |
| 16.ბოლონია | 19 | 5 | 3 | 11 | 21:26 | 18 |
| 17.ჯენოა | 19 | 4 | 5 | 10 | 20:30 | 17 |
| 18.კალიარი | 19 | 5 | 4 | 10 | 17:35 | 16 |
| 19.პალერმო | 19 | 3 | 6 | 10 | 16:29 | 15 |
| 20.სიენა | 19 | 4 | 5 | 10 | 17:28 | 11 |

შენიშვნა:

სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა

ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა

ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა

ნაპოლის დაკლებული აქვს 2 ქულა

სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა

## საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12.01 | ტრუა-ლიონი | 4.2 | 3.3 | 1.91 |
| 12.01 | ევიანი-ბრესტი | 1.85 | 3.3 | 4.5 |
| 12.01 | ნანსი-ლილი | 4.2 | 3.1 | 2.0 |
| 12.01 | რენი-ბორდო | 2.3 | 3.1 | 3.3 |
| 12.01 | მონპელიე-ლორიენი | 1.91 | 3.3 | 4.2 |
| 13.01 | რეიმსი-ბასტია | 2.3 | 3.1 | 3.3 |
| 13.01 | ნიცა-ვალანსიენი | 2.1 | 3.25 | 3.6 |
| 13.01 | სოშო-მარსელი | 4.5 | 3.3 | 1.85 |

### ტრუა-ლიონი

ტრუა: ***ტრავმ***-ჟან კრისტოფ ბაეკი, მაქსიმ კოლინი, სებასტიენ გრო

ლიონი: ***ტრავმ***-ალექსანდე ლაკაზეტე, კლემენტ გრენირი, იოან გურკუფი, ჯიმი ბრიანდი

### ევიანი-ბრესტი

ევიანი: ***ტრავმ***-კევინ ბერიგო, დანიელ ვასი, შტეფან ანდერსენი, ჯონათან მენსა, ალი მადი

ბრესტი: ***ტრავმ***-ბენუა ლესომიერი, ლარსენ ტურე, ადამა ბა

### ნანსი-ლილი

ნანსი: ***ტრავმ***-ჯეფ ლუსი

ლილი: ***ტრავმ***-ფრანკ ბერია, ტულიო დე მელო

### რენი-ბორდო

რენი: ***ტრავმ***-ჟან მაკუნი, აბდულაიე სანე

ბორდო: ***ტრავმ***-ბენუა ტრემულინასი, ლუდოვიკ ობრანიაკი, აბდუ ტრაორე

### მონპელიე-ლორიენი

მონპელიე: ***ტრავმ***-მარკო ესტრადა, ბენჯამინ სტამბული, ჯამე საიჰი, იორის მავრო, გარი ბოკალი, ქარიმ აიტ ფანა

ლორიენი: ***ტრავმ***-ალაინ ტრაორე, იან ჟოფრე, ლუკას მარეკო, რემი მულუმბა, არნო დე ლანი

### რეიმსი-ბასტია

რეიმსი: ***ტრავმ***-ნიკოლას ფოვერჟე

ბასტია: ***ტრავმ***-ჟილ ანგულა, მეტიუ სანსი, სილვიან მარშალი

### ნიცა-ვალანსიენი

ნიცა: ***ტრავმ***-სტეფან ბაოკენი, ფაბიენ დაო კასტელანა, კევინ ანინი, დიაჩკო ფოფანა

ვალანსიენი: ***ტრავმ***-რემი გომისი, ჟილი, ჟილ დანიჩი

### სოშო-მარსელი

სოშო: ***ტრავმ***-კარლაო, კალილუ ტრაორე, სედრიკ კანტე, პიერიკ კროსი, ტიერი დუბაი

მარსელი: ***ტრავმ***-ბენუა შეროუ, კასიმ აბდალაჰი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 19 | 11 | 5 | 3 | 36:12 | 38 |
| 2.ლიონი | 19 | 11 | 5 | 3 | 33:17 | 38 |
| 3.მარსელი | 19 | 12 | 2 | 5 | 24:20 | 38 |
| 4.რენი | 19 | 10 | 2 | 7 | 29:24 | 32 |
| 5.ლორიანი | 19 | 8 | 7 | 4 | 32:29 | 31 |
| 6.ვალანსიენი | 19 | 8 | 5 | 6 | 31:24 | 29 |
| 7.ბორდო | 19 | 6 | 11 | 2 | 21:14 | 29 |
| 8.ლილი | 19 | 7 | 8 | 4 | 23:18 | 29 |
| 9.ნიცა | 19 | 7 | 8 | 4 | 26:26 | 29 |
| 10.სენტ ეტიენი | 19 | 7 | 6 | 6 | 24:14 | 27 |
| 11.მონპელიე | 19 | 7 | 5 | 7 | 29:24 | 26 |
| 12.ტულუზა | 19 | 7 | 5 | 7 | 25:20 | 26 |
| 13.ბასტია | 19 | 6 | 4 | 9 | 26:41 | 22 |
| 14.ბრესტი | 19 | 6 | 3 | 10 | 20:28 | 21 |
| 15.რეიმსი | 19 | 4 | 7 | 8 | 16:20 | 19 |
| 16.აიაჩო | 19 | 5 | 6 | 8 | 21:29 | 19 |
| 17.ევიანი | 19 | 5 | 4 | 10 | 22:32 | 19 |
| 18.სოშო | 19 | 4 | 4 | 11 | 17:29 | 16 |
| 19.ტრუა | 19 | 2 | 7 | 10 | 20:37 | 13 |
| 20.ნანსი | 19 | 1 | 8 | 10 | 15:33 | 11 |

შენიშვნა:

აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა

# მსოფლიოს 10 ახალი საფეხბურთო მოედანი

დასაწყისი მე-12 გვერდზე

საქმიანი ნაწილი მოსჩანს, მშენებლობა რეკორდულ დროში მოხდა: სტადიონს ფუნდამენტი 2011 წლის თებერვალში ჩაეყარა და ერთი წლისა და 3 თვის შემდეგ პირველ მატჩს სალვადორისა და ახალი ზელანდიის ეროვნული ნაკრებების დაპირისპირებას უმასპინძლა. მოედანი 22.000 მაყურებელს იტევს კრისტოფერ ლის დაპროექტებულია, რომლის სახელიც „ემირეით სტედიუმს“ უკავშირდება.

### სტად ოსეანი, ჰავრი

თამაშობს: „ ლე ავრი“

გახსნის თარიღი: 12.07.2012

ფასი: 101 მლნ ევრო

„სტად ოსეანი“ ფარანგული კლუბის „ლე ავრის“ საშინაო მატჩებს უმასპინძლებს. ის 25.000 გულშემატკივარს იტევს და 6 თვეში გაიხსნება დაჰ შეძლებს მიიღოს საფრანგეთის ნაკრები და რამდენიმე სარაგბო გუნდიც.

### ნიუ იორკ სთედიუმი, პოტერჰემი

თამაშობს: „პოტერჰემ იუნაიტედი“

გახსნის თარიღი: 19.07.2012

ფასი: 24,3 მლნ ევრო

12.000 სტადიონი „როტერჰემ იუნაიტედის“ ფულითაა აგებული (ინგლის მე-4 დივიზიონი), 6 თვის წინ გაიხსნა, მაგრამ უკვე მოახერხა ყველას გაკვირვება. სტადიონს სახელწოდება „ნიუ იორკ იუნაიტედი“ ტონი სტიუარტმა რამდენიმე მიზეზით დაარქვა. პირველი მიზეზი – მიწა, რომელზეც მოედანია აშენებული ოდესღაც ნიუ იორკი ერქვა. მეორე მიზეზი კი ამერიკული ბეისბოლის გუნდის „ნიუ იორკ იანკიზის“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ინგლისურ კლუბში ინვესტიციის ჩადება, რის გამოც სტიუარტმა საბოლოოდ გადაწყვიტა კლუბისთვის სახელი დაერქვა.

### გრან სტად ლილ მეტროპოლი, ლილი

თამაშობს: „ლილი“

გახსნის თარიღი: 17.08.2012

ფასი: 282 მლნ ევრო

„გრან სტად ლილ მეტროპოლის“ მშენებლობა ფრანგული „ლილის“ ისტორიაში ყველაზე ამბიციური პროექტია. მშენებლობა 2010 წელს დაიწყო და 2012 აგვისტოში დასრულდა. სტადიონი 50.000 ადამიანს იტევს, აქვეა განთავსებული სპორტული კომპლექსები, რომელშიც სასტუმროები, რესტორნები და მანქანების სადგომიცაა. საერთო ღირებულებას კი 618 მლნ ევროს შეადგენს.

### ვეკშე არენა, ვეკშე

თამაშობს: „ესტერი“

გახსნის თარიღი: 03.09.2012

ფასი: 22,2 მლნ ევრო

„ესტერას“ ახალი თავშესაფარი კლუბის ხელმძღვანელობას 190 მლნ ევროს ღირებულებისაა და ვეკეში უკანასკნელ წლებში გახდა ერთ-ერთი გვირგვინი 4 სპორტულ ობიექტში. 3 სხვა სტადიონი კი ფლორბოლის, მძლეოსნობისა და ჰოკეის არენებია, რომლებზეც 5.000 მაყურებელი ეტევა.

### ბუნედკორი, ტაშკენტი

თამაშობს: „ბუნდეკორი“

გახსნის თარიღი: 27.09.2012

ფასი: 228,7 მლნ ევრო

„ბუნედკორას“ სტადიონის გახსნა რამდენჯერმე გადაიდო – პირველად კომპანია „ზერომაქსი“, რომელიც აშენებდა სტადიონს 2010 წელს უზბეკეთის მთავრობამ გადაიბარა. შემდეგ 2011 წლის აპრილში, მაშინ მთავრობამ გადაწყვიტა 34 მილიონის სახურავის დაბრუნება და შეეცვალა ბიუჯეტი. ბოლოს კი სტადიონის მშენებლობა 28 სექტემბერს დასრულდა, სტადიონმა კი პირველი მაყურებელი ნოემბერში მიიღო.

### ფრენდს არენა, სტოკჰოლმი

თამაშობს: შვედეთის ნაკრები, „აეკი“

გახსნის თარიღი: 14.11.2012

ფასი: 300 მლნ ევრო

სტოკჰოლმის ახალი 50.000-იანი სტადიონი ევროპაში ყველაზე ფართოა ევროპაში, მაგრამ ის ამით სულაც არ არის ცნობილი. სწორედ ამ სტადიონზე შედგა ის ხმაურიანი დაპირისპირება, როდესაც შვედეთის ნაკრებმა ინგლისის ნაკრებს უმასპინძლა და გამანადგურებელი ანგარიშით 4:2 მოუგო. მაშინ ჯო ჰარტის კარი ზლატან იბრაჰიმოვიჩმა 4-ჯერ აიღო.

### გრემიოს არენა, პორტუალეგრი

თამაშობს: „გრემიო“

გახსნის თარიღი: 08.12.2012

ფასი: 221,68 მლნ ევრო

პლანეტის უახლესი სტადიონი. პორტუალეგრის საერთაშორისო აეროპორტი გადააკეთეს სტადიონად, რომელიც 60 ათას გულშემატკივარს იტევს. ფიფამ ამ ბუმბერაზი სტადიონის გახსნა მსოფლიო ჩემპიონატისთვის დაგეგმა.

# სირია გაეროს დესპანმა გააღიზიანა



გუშინ, სირიელმა მაღალჩინოსნებმა ქვეყანაში გაეროს სპეციალურ წარმომადგენელს ლაკდარ ბრაჰიმს „საშინლად არაობიექტური“ უწოდეს. აღნიშნული დესპანის კომენტარს მოჰყვა, სადაც ბრაჰიმმა ქვეყნის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადს გადადგომისაკენ მოუწოდა. სირიის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, ის ძალიან გააკვირვა ბრაჰიმის კომენტარმა.

„სირიაში, რასაც ხალხი ამბობს არის ის რომ 40 წელი ერთი ოჯახის მიერ ქვეყნის მართვა დიდი დროა“,-აღნიშნული ბრაჰიმმა „ბი-ბი-სისთან“ საუბრისას განაცხადა, მხედველობაში კი ბაშარ ალ-ასადი და მისი მამა ჰაფეზ ალ-ასადი ჰყავდა (რომლისგანაც ამჟამინდელ პრეზიდენტს ეს თანამდებობა მემკვიდრეობით ერგო).

რუსი და ამერიკელი დიპლომატები ბრაჰიმს ჟენევაში, დღეს, შეხვდებიან. 2011 წლის მარტიდან დაწყებულ კონფლიქტს გაეროს მონაცემებით 60 000 ადამინიაზე მეტი ემსხვერპლა.

შეგახსენებთ, რომ თურქეთი სირიის საკითხის გადაჭრის ახალი ინიციატივით გამოდის. როგორც თურქული მედია იუწყება, ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ფირიდინ სინიიროღლუ რუსეთში ვიზიტს სირიის კრიზისის განსახილველად გეგმავს. ელოდებიან, რომ თურქი დიპლომატი მოსკოვს კრიზისის გადაჭრის საკუთარ გეგმას წარუდგენს.

სინიიროღლუ მოსკოვში მოლაპარაკებებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან, ახლო აღმოსავლეთის საკითხებში, მიხელ ბოგდანოვთან გამართავს. როგორც საერთაშორისო წარგზავნილმა სირიაში, ლაკდარ ბრაჰიმმა განაცხადა, თუ ქვეყანაში კრიზისი წელს ვერ მოგვარდა, ის მთლიანად განადგურდება. ბრახიმმა, „ბი-ბი-სისთან“ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ბაშარ ასადის გამოსვლამ, სადაც მან შეიარაღებული კონფლიქტის დამნაშავეებად მეამბოხეები და ტერორისტები გამოაცხადა, კონფლიქტის მოგვარების შესაძლებლობა მნიშვნელოვნად გაართულა.

# „ვიკილიქსის“ საქმეზე, შესაძლოა, ახალი მტკიცებულება გაჩნდეს

ოთხშაბათს ამერიკის სამხედრო პროკურორმა ბრედლი მენინგის საქმესთან დაკავშირებით განაცხადა, რომ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, „ალ ქაიდას“ ლიდერს უსამა ბინ ლადენს ის მასალები მიაწოდეს, რომლის „ვიკილიქსისათვის“ მიწოდებაშიც მენინგს ადანაშაულებენ. აღნიშნულის შესახებ „ნიუ-იორკ თაიმსი“ წერს.

პროკურატურის თანამშრომლებმა ასევე აღნიშნეს, რომ მენინგისა და ჯულიან ასანჟის 2010 წლის თებერვლის პირად საურებში ისინი „ნიუ-იორკ თაიმსის“ სტატიის შესახებ „იცინიან“.



როგორც ცნობილია, „ნიუ-იორკ თაიმსმა“, რამდენიმე წამყვან გამოცემასთან ერთად, ასობით საიდუმლო დოკუმენტი გამოაქვეყნა, რომლის გამჟღავნებაც მენინგს ბრალდება.

გაზეთმა შემდეგ მომენტზე გაამახვილა ყურადღება – პროკურორმა ენჯელ ოვერგარდმა დადებითი პასუხი გასცა მოსამართლის ამ შეკითხვას: „თუ მენინგმა საიდუმლო დოკუმენტები ვიკილიქსამდე ნიუ-იორკ თაიმსს გადასცა, წაუყენებენ თუ არა მას იგივე ბრალდებას?“

მედიის დამცველები აღნიშნავენ, რომ მსგავსი სისხლის სამართლის საქმე საშიში პრეცედენტი იქნება იმ მედიასაშაულებებისათვის, რომლებიც საიდუმლო ინფორმაციას ხშირად აქვეყნებენ.

